

გურამ ბათიაშვილი

ს ა მ ე ფ ო ს გ ა რ ჩ ა ც ვ ა წ ე ბ ა
დრამა ორ მოქმედებად

2.

მოქმედი პირნი:

გიორგი მეცამეტე -- საქართველო მეფე
მარიამ დედოფალი -- მისი მეუღლე
დავითი - ამათი შვილი, ტახტის მემკვიდრე
ლიონიძე -- გიორგი მეფის მრჩეველი
გარსევან ჭავჭავაძე -- საქართველოს ელჩი რუსეთში
იოანე ორბელიანი -- სარდალი
მუხრან-ბატონი -- სარდალი
რატიშვილი -- თავადი
ვახტანგი -- ძე ერეკლე მეფისა
დარეჯან დედოფალი -- ამისი დედა, მეფე ერეკლეს ქვრივი
ბერიკა
მურადი

ლაზარევი -- გენერალი
კოვალენსკი -- მინისტრი
როსტოფჩინი -- გრაფი
მუსინ-პუშკინი -- გრაფი

სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარე
ზოლოტარევი } რუსი დიდებულნი
ევსეევი
ნასტასია

პირველი კახელი,
მეორე კახელი,

მოქმედების დრო—1800-1801 წ.
მოქმედების ადგილი-- ტფილისი

3.

**სინათლის სხივში ბერიკა მოექცევა -- გაბადრული, მომღიმარი ბერიკა
დარბაზს ყურადღებით შესცერის. უცებ აქვთინდება.**

ბერიკა. იტირეთ და ივიშვიშეთ, ქართველნო: როცა აღა მაპმად ხანმა სატახტო ქალაქი ნაცარტუტად გვიქცია, სასახლის კარზე კაცი არ აღმოჩნდა, სამეფო გვირგვინს გაფრთხილებოდა. დაიკარგა, გაქრა, ან ქართველთა მეფის დარბაზებში გამძინვარებულმა ცეცხლმა ერბოსავით დაადრო საქართველოს მეფის გვირგვინი. (გაირინდება, ღიმილით.) იმ დღიდან მეფე ერეკლემ მთელი სამი წელიწადი ისე იმეფა, თავზე გვირგვინი არ დაუდგამს— არა ჰქონდა და რას დაიდგამდა! ერეკლეს მემკვიდრე -- გიორგი დღესაც უგვირგვინოდ ზის რომელიდაც ხეჩუას გაჩორქნილ სკამზე.

შუქი სცენაზე.

მოჩანს ციხე-ტაძართა, სასახლეთა ნანგრევები, შიშველი სივრცე მოქმედების მსელელობის პარალელურად ივსება აუცილებელი რეკვიზიტით.

სცენის ერთ კუთხეში რუსეთის იმპერატორის -- პავლე პირველის მუნდირი განათდება.

კართუხუცესის ხმა. საქართველოს მეფის -- გიორგი ერეკლის-ძის რწმუნებული თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ჭავჭავაძე (შემოღის, მიმართავს იმპერატორ პავლე პირველის მუნდირს). ღიდო იმპერატორო, ვემზობი თქვენს წინაშე და მოგართმევ ქართლ-კახეთის მეფის-- გიორგი ერეკლისძის ვედრებას (კითხულობს გიორგი მეთორმეტეს წერილს): „წელიწადი ათას შვიდას ოთხმოცდამეთვრამეტე. ოქტომბერი. თქვენი იმპერატორობითი დიდებულების სიგელი გრაფმა მარკოვა გადმომცა. ჩემი მდგომარეობა იძულებულს მყოფს გთხოვთ იყოთ მფარველი ჩემი სამეფოსი, გვსურს თქვენი დიდებულების მფარველობა საუკუნოდ გვედგას, რომ აღარ გვჭიროდეს სხვა სამეფო კარი. გთხოვთ სიგელითვე დაამტკიცოთ ჩემი მეფობა, ხოლო ჩემს მემკვიდრედ აღიაროთ ჩემი შვილი დავითი. ასევე მსურს თქვენი მზრუნველობის დასტურად გამოგვიგზავნოთ სამი ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებითა და ზარჯით და ეგრე ვიყოთ საუკუნოდ — აღსასრულამდე სოფლისა.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი
მეათსამეტე“.

დაბნელება.

თბილისი, თავადთა საკრებულო.

მუხრან-ბატონი. გამოფხიზლდით, ქართველნო, რას გვიშვრება მეფე გიორგი!
რატიშვილი. ისა სურს საქართველო რუსთ მეფეს მიართვას. თან შესძახებს, დიდად მსურს
შენი ყურმოჭრილი მონა ვიყო.

მუხრან-ბატონი. ისიც მოსწვდა ჩემს ყურს, ტანთ ჩამაცვი, შემმოსეო, ეაჯება თურმე!
რატიშვილი. ბაბა ზანი უკვე გოგჩის ტბასთან დგას და იქადის, პირისა მიწისაგან უნდა
აღვგავოო ქართველნი.

მუხრან-ბატონი. ჭირი არ სცილდება საქართველოს, ჭირი უგონო პატრონთა გამო!

კვლავ განათლება იმპერატორის მუნდირი.

4.

ჭავჭავაძე. მეორე თხოვნა მეფე გიორგი ერეკლეს მისა: საქართველოს მეფე უმორჩილესად
გთხოვთ შემდგომისათვის (კითხულობს.) „აღთქმული იქნას, რომ ჩემი შთამომავალი საუ-
კუნოდ და შეურყევლად იმეფებენ საქართველოში და არავინ სხვა არ ერეოდეს ჩემს შინა-
ურ საქმეში. ჩემს თავად-აზნაურებთან, სხვა ქვეშვერდომებთან საქმე არავის არ ჰქონდეს-
რა. ჩემი წინაპარნი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და მეც ჩემის მხრით აღთქმა-
სა ვდებ, რომ ქვეშვედრომობის ერთგულებაში წინაპრებს აღვემატო.“ (შეჩერდება, მუნდირს
შესცერის.)

ქართუხუცესი. განაგრძეთ, იმპერატორი გისმენთ.

ჭავჭავაძე (განაგრძობს მეფე გიორგის წერილის კითხვას). „დღეს თქვენა გხადით ჩემდა
ხელმწიფედ და ვსასოებ, რომ თქვენდა მიმართ გამოწვდილი ხელი ჩემი უკუქცეულ არ
იქნებიან.“

დაბნელება.

მოისმის წარმტაცი ქართული მელოდიები, შეძახილები:

- დიდება მეფეს!
- მეფე გიორგის მტრის ძლევა მისცეს ღმერთმა!
- რუსი მოდის, რუსი მოდის!
- იხარე ქართველო, მოკვდი მტერო!
- ამქვეყნად ჩვენც გვყოლია მოკეთე!
- მოგვეცალეთ, რუსი ჩვენთან არის!
- დედას გიტირებთ, ბაბა ზან!
- იქით, იქით ჩაიწით, აქ ბაბა ზანის კუბო უნდა დადგან!

შუქი სცენაზე.

ანჩისხატის ეკლესიასთან სიხარული გამეფებულა.

თბილისელებს ცეკვა-თამაში გაუმართავთ.

ბერიკა. 1799 წლის 23 ნოემბერს მთელი ქალაქი მხიარულობდა, ცეკვა-თამაშს, სიმღერას
ბოლო არ უჩანდა, ტფილისში შემოვიდნენ კოვალენსკი და გარსევან ჭავჭავაძე, სასახლი-
დან ანჩისხატამდე რუსის ჯარი ორ მწკრივად იდგა. მეფე გიორგიმ სულ თავის დაკვრითა
და ღიმილით გაიარა ამ მწკრივში.

ლაზარევის ხმა (კულისებიდან). მარშ, ნაბიჯით იარ! (გვესმის, თუ როგორი მწყობრი
ნაბიჯით დაიძრა რუსეთის ჯარი. მოძრაობაში იგრძნობა ძალა, ისმის მხნე სიმღერა)
საქართველოს მეფეს -- გიორგი მეცამეტეს მხედრული სალამი! (ჯარი შეძახილებით
ესალმება მეფე გიორგის.) შაშხანების ზალპი! (ზალპის ხმა.) კიდევ ზალპი!

შემოდის მეფე გიორგი დედოფალ მარიამთან ერთად.

გიორგი (გახალისებული, მხნედ). ჰა, რას იტყვი, მარიამ, ვგონებ. სასიკეთოდ გადავწყვიტე საქართველოს ბედი!

მარიამი. მეთაურს რა უამური ხმა აქვს. არ მომწონს ეგ კაცი -- ვინ არის?

გიორგი. რუსთა ღირსეული გენერალია, გვარად ლაზარევი.

მარიამი. ეგ არის? ასე მომწვდა რუსი არ არის...

გიორგი. (აწყვეტინებს). სსს... რაც იცი, განა სუყველას თქმა უნდა, დედოფალო! (იოანე ორბელიანს შენიშნავს) აი, უამურად იოანე დგას. ასე რად დალვრემილხარ, სარდალო!

იოანე. სხვა არა დამრჩენია რა, მეფეო, გამოვხატო კმაყოფილება, ძლიერნი არიან ერთობ.

გიორგი. ესენი ადვილად შეგვიშინებენ და მოერევიან ჩემს მტერს. ამათ ვერ დაუდგება ვერც ლეკი, ვერც სპარსი და ვერც -- თურქი. ჩემს ძმებს კი სულ ვარ დედას აძახებენ...

იოანე (თავშეკავებით). მართალსა ბრძანებ, მეფეო!

გიორგი. კილოზედ გატყობ, მოხარული არ უნდა იყო!

იოანე. მიმიხვდი, მეფეო! (დუმილი).

5.

გიორგი (უხმოდ შესცემის, თუ რას იტყვის იოანე.) არ გიხარია? (პაუზა.) მეფე სარდლის პასუხს ელოდება.

იოანე. მუდამ ჩვენი მარჯვენის იმედზე ვიყავით, სხვისი არც არაფერი გვინდოდა, ვაზსაც ჩვენივ მარჯვენით ვწურავდით და ხმალსაც თავადვე ვიქნევდით, დღეს კი სხვისი მარჯვენის შემყურენი გავხდით, იმაზე ვფიქრობთ, ვინ რით მოგვეშველება, ვინ რას გაგვიკეთებს.

გიორგი. სწორადა ფიქრობ, სარდალო, მაგრამ ეგ ფიქრი რას შეცვლის?

იოანე (მცირე პაუზის შემდეგ). ეგენი იმდენად ღონივრები სჩანან, შიშსა მგვრიან. დაგვინდობენ, გაგვიტანენ კი? ვაითუ, ისე მოირთხან ფეხი...

გიორგი. შენივ მარჯვენით გაგეჭრა, ორბელიანო, ვინ დაგიშალა? მიდი, ამტვრიე ცხვირ-პირი ბაბა ხანს, წინ გადაუდექ ყიზილბაშთ, ლეკთა და ახალციხის ფაშასაც ცხვირ-სახე ულეწე, რომ ქართლ-კახეთისაკენ არც გამოიხდონ!

იოანე. სარდალი შენი მონა-მორჩილია, მეფევ ბატონო, ოლონდ...

გიორგი (აწყვეტინებს, დაუინებით). აგარიანთ ცხვირ-სახეს ამტვრევდე, ვინ დაგიშალა?..

იოანე. გაუგონრობამ, თავადთა ურჩობამ. თავისი ეზო-კარის იქით აღარაფერი ახსოვთ.

გიორგი. ცხვირ-სახე დასალეწი აქა გვყოლია, ჯერ ამათოვის მიგეხედა,!.

იოანე. თუ ჩემს მეფეს ეამება, სარდალი ამ წუთიდანვე დაეთხოვება.

გიორგი. თქვენ ის გიჯობთ, შამფურებს ატრიალებდეთ, საქვეყნო საქმეს კი სხვა აკეთებდეს.

იოანე. მეფეო!..

გიორგი. და ვინც საქმეს ადგას, იმას ჰკილავდეთ!

იოანე. თავი არც მე დამიზოგნია.

გიორგი. იქნებ, გგონია, რუსი გვახევენ კალთას?! ჩვენა, ჩვენ ვემუდარებით, ოლონდ, მოვიდნენ და ხალხმა წუთისოფელი დაიმოს. სწორედ ეგრე უთხარ ბაბა ხანისაკენ მომზირალ თავადთა, სასოებით ნურც ყიზილბაშებს მისჩერებიან, ეგრე!

იოანე (მეფეს თავს უკრავს). ეგრევა მოვახსენებ, მეფეო! (მიდის)

კოვალენსკი (გიორგი მეფეს თავს მდაბლად უკრავს). მისმა უდიდებულესობამ — რუსეთის იმპერატორმა ისურვა თქვენი უმაღლესობის კარზე ჰყავდეს თავისი მინისტრი. ეს პატივი მე, თავად კოვალენსკის, მერგო. იმპერატორის გრამოტა (სიგელს გადასცემს.)

გიორგი. ჩვენი მხრიდან შესვდებით მეგობრობას და კეთილ ნებას (დაჯდება). გთხოვთ დაბრძანდეთ ჩემგან ხელმარჯვნივ.

ბერიკა (ირონიით). რას შვრები, მეფეო, აი, ამ წუთიდან ეგ ისე დაჯდება, შენთვისაც ვეღარ ჰქოვო ადგილი!

კოვალენსკი. გმადლობთ, ეს დიდი პატივია!

გიორგი. რასა იქმს დიდი რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი -- მფარველი ჩვენი -- პავლე?

კოვალენსკი. ჯანით სავსეა და გონებით საღი.

მარიამი. იმპერატორიცა როგორა ბრძანდება?

კოვალენსკი. ჩინებულად, ღვთისმოსავობაში ათენებს და აღამებს. (წამოდგება.) ახლა კი ნება მიბოძეთ, საზეიმოდ გაუწყოთ, რომ ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ რუსეთისა -- პავლემ დაგამტკიცათ საქართველოს მეფედ, როგორც კანონიერად ასული სამემკვიდრეო ტახტზე, ხოლო თქვენს უფროს ვაჟს, მეფისწულ დავითს, აღიარებს თქვენს მემკვიდრედ.

გიორგი. აი, ჩემს ხალხს ფრიად გაახარებდა რუსეთის მეფის ასეთი ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოზედ! (ლიონიძეს.) რუსთა მინისტრს სწადი, ფრიად სასიხარულო ამბავი აუწყოს ქართველ ხალხს.

ლიონიძე (ხალხს მიმართავს). ყური უგდეთ, რუსეთის მინისტრი ფრიად სასიხარულო ამბავს გაუწყებთ!

კოვალენსკი (ხალხს მიმართავს). მე, მინისტრი ხელმწიფე იმპერატორ პავლესი, ქართველ ხალხს ვაუწყებ, რომ ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ რუსეთისა -- პავლემ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, გიორგი, ძე ირაკლისა, დაამტკიცა საქართველოს მეფედ, როგორც კანონიერად ასული სამემკვიდრეო ტახტზე (გიორგის.) ხოლო თქვენს

6.

უფროს ვაჟს, მეფისწულ დავით გიორგის-ძეს აღიარებს თქვენს მემკვიდრედ.

ბერიკა (ირონიული ლიმილით. შეხტება). ბედი გვეწია, ქართველნო, რუსთ ხელმწიფემ ბაგრატოვანი საქართველოს მეფედ დაამტკიცა!

შეძახილები:

- დიდება მეფეს!
- გაუმარჯოს მეფე გიორგის!
- დიდება რუსეთის იმპერატორსა!
- დაგვიდექ, ბაბა ხან!
- ბრძენი ხარ, მეფე ბატონო, ბრძენი!

გიორგი. ადიდეთ დავითი, საქართველოს მომავალი მეფე!

კოვალენსკი (ხალხს). ამასთან საქართველოს მეფეს ვაახლებ ჩემი ხელმწიფე იმპერატორის გრამოტას და სამეფო ინვესტიტურას. ნება მიბოძეთ ჩავატარო მისი უდიდებულესობის სამეფო ინვესტიტურის გადმოცემის ცერემონიალი.

გიორგი (ერთობ კმაყოფილი). დასტური მითქვამს!

კოვალენსკი. გთხოვთ ინებოთ გრამოტა ხელმწიფე იმპერატორისა, რომლის ძალითაც თქვენ დამტკიცებული ხართ საქართველოს მეფედ, თქვენი ძე -- დავითი კი თქვენს მემკვიდრედ. (სიგელს გადასცემს.) ახლა კი შემოიტანეთ ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო ინვესტიტურა. პორუჩიკო! (შემოდის პორუჩიკი.) გადახადეთ საფარი სამეფო ტახტსა, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის მიერ მორთმეულსა. მეფევ, გებობათ სამეფო ტახტი, შვინდისფერის ხავერდით გადაკრული, ბრტყელი ოქრომკერდის არშიებით და ოქრომკერდისგვე ფოჩებით მორთული (ტახტს მეფე გიორგის ახლო დამენ).

ბერიკა. გელირსა, მეფეო, ტახტზე დაჯდები, ეგ ხეჩუას გამოჩორენილი სკამი მოისროლე!

კოვალენსკი (განაგრძობს) ამასთანავე სამი ბალიში. შუა ბალიშზე დაიდება გერბი

საქართველოსი, აქეთ-იქით ბალიშებზე – რუსეთის გერბი. (პორუჩიკს.) საქართველოს მეფეს ძვირფასი ქვებით შემქული სამეფო გვირგვინი! (შემოაქვთ სამეფო გვირგვინი, კოვალენსკი უახლოვდება მეფე გიორგის და დაადგამს გვირგვინს.) სკიპტრა, ძვირფასი თვლებით მოჭედილი! (კოვალენსკი უახლოვდება გიორგის და გადასცემს სკიპტრას). ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემოსილი ხმალი! (მეფეს მოართმევენ ხმალს) სამეფო პორფირი ყარყუმის ბეწვისა, შვინდისფერი ხავერდის საპირეთი, მასზედ ამოქარგული რუსეთის, ასევე საქართველოს გერბით. მოართვით მეფეს თეთრი დროშა ორთავიანი არწივითა, ლენტი წმიდა ანდრია პირველწოდებულისა აღმასებით შემქული! (შემოაქვთ ლენტი, მეფე ლენტს გადაიკიდებს.)

გიორგი. ღმერთმა დღეგრძელჰყოს დიდი რუსეთის იმპერატორი -- პავლე!

ბერიკა. აი, მეფე! ახლა კი ნამდვილი მეფე ხარ, გიორგი!

შეძანილები:

-- ამინ!

-- გაუმარჯოს!

-- დიდება რუსეთს!

კოვალენსკი (გიორგის). დღეიდან თქვენ ხართ საქართველოს მეფე და გთხოვთ დაბრ- ძანდეთ სამეფო ტახტზე! (მეფე გიორგი სამეფო ტახტზე ჯდება).

ბერიკა. დღეიდან საქართველოს მეფე ხარო, ბაგრატოვანო, გიხაროდეს, დღეიდანაო...

კოვალენსკი (ამთავრებს დაწყებულ წინადადებას, რომელიც ბერიკამ გააწყვეტინა). ნურასოდეს მოგკლებოდეთ ხელმწიფე იმპერატორის წყალობა!

გიორგი. ახლა ძე ჩემი...

კოვალენსკი. ხოლო ძეს თქვენსას -- დავით გიორგის-ძეს, ხელმწიფე იმპერატორი აღიარებს ტახტის მემკვიდრედ.

ბერიკა (ცეკვა-თამაშით). გაიხარეთ, ქართველებო, ბაგრატოვანთ საქართველოში მეფობაც დაუმტკიცეს და ტახტის მემკვიდრეობაცა

ითანე. გვიხაროდეს? რუსთ იმპერატორის წყალობაზეა ბაგრატოვანთა მეფობა!

7.

კოვალენსკი. ახლა კი მეფეო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალი ტრაქტატი.

ჭავჭავაძე (კითხულობს). 1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა: პარაგრაფი პირველი: მისი დიდებულება რუსეთის იმპერატორი, მიიღებს ტიტულს „მეფე ივერიისა და შემდეგი მისნი მემკვიდრენი“.

ბერიკა (ცეკვით წრეს უვლის). ახალი მეფე, მთავარი მეფე! საქართველოს თეთრი მეფეც ეყოლება!

კოვალენსკი. (განაგრძობს კითხვას). პარაგრაფი მეორე: ძე მეფისა გიორგისა დავით – ტიტულსა „განმგე საქართველოისა“ და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ პირმშოდის.

ჭავჭავაძე. პარაგრაფი მესამე: საქართველოის მოსახლეობა 12 წელიწადი არ გაიღებს არასა ხარჯსა, ქვეყანა გადასახადების გადახდას დაიწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დანგრეულს აღადგენს.

კოვალენსკი. პარაგრაფი მეოთხე. მადანი ოქროისა და ვერცხლისა ახტალას და მისხანასა (მიშხანასა) შევა რუსთა განმგებლობაში.

ბერიკა. რა კეთილი არიან, რა სათონი! ახტალის ოქრო-ვერცხლს რუსი გიწილბედებს!

კოვალენსკი. პარაგრაფი მეხუთე: რუსეთის 6.000 ქვეითი ჯარისკაცი დადგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ქვეით ჯარში.

ჭავჭავაძე პარაგრაფი მერვე: ფულსა მოჭრილსა ტფილისში ექმნება ერთ მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორე მხარეს -- საქართველოსი.

გიორგი (ლიონიძეს). აწ მოისვენა გულმა -- ჩემს მეფობას იცავს მართლმადიდებელი იმპერატორი.

ცეკვა-სიმღერა გრძელდება.

კოვალენსკი. თქვენო უმაღლესობავ, მაქვს პატივი შეგახსენოთ, რომ ჯერაც არ დაგიდვიათ ხელმწიფე იმპერატორის ტახტისადმი ერთგულების ფიცი. თქვენი ფიცი ძლიერ ეამებოდა იმპერატორს, ამიტომაც შეგახსენეთ.

გიორგი. ჩემი გული იმდენად სავსეა მართლმადიდებელი მეფისადმი მადლიერებით, მზად ვარ, ახლავე დავდო ფიცი.

კოვალენსკი (ქალალდზე დაწერილ ფიცის ტექსტს წინ დაუდებს). აი, თარგმნილი ქართულს ენაზე!

გიორგი (კითხულობს). მე, გიორგი მეფე ქართლისა და კახეთისა, ვდებ პირობას და ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე, წმიდისა სახარებისა მისისა მას შინა, რომ მაქვს სურვილი და ვალდებულებად მივიჩნევ თავსა, ერთგულად და პირუთვნელად ვემსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესსა ნებასა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის ხელმწიფის პავლე პეტრეს-ძის და მეფისწულის, დიდი თავადის...

შეჩერდება, ქალალდს გადასდებს.

კოვალენსკი (შეშფოთებული). ცუდად ხართ?

ბერიკა. ახლა კი ყურადღებით, ქართველნო, ყველამ უგდეთ ყური, დიდმაც და პატარამაც, ყველამ, ყველამ... ახლა იწყება... (თითქმის ყვირის.) ახლა იწყება... იწყება... მეფეს ოცნება ჰქონია!

გიორგი. არა... აი, რა უნდა გითხრათ, ქართველნო: ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, როცა უფლისწული ვიყავ და ნეტარხსენებული მამა-- მეფე ერელე დიდს ეკატერინესთან უსტართ გზავნიდა, ოცნებად ქონდა, საქართველო გამხდარიყო რუსეთის ქვეშედრომი.

ბერიკა (გონგს დასცებებს). უგდეთ-მეთქი ყური, მეფეს ოცნება ჰქონია!

იოანე. ქვეშედრომი?!?

ლიონიძე. რას ამბობ, მეფეო!

ზედგინიძე. მეფე გონს არ არის!

გიორგი. მსურს ჩემი სამეფო და თავიც ჩემი, რუსეთის იმპერატორს გადავსცე და ქვეშედრომად ვიყო, მისი მორჩილი და დამოკიდებული მასზედ. (პაუზა. ხალხს გადახედავს). აღარ

8.

ვეძებ რუსეთის მფარველობასა, ვითხოვ საქართველო გახდეს ქვეშედრომი, ნაწილი რუსეთისა.

მუხრან-ბატონი. შვილიშვილი პაპას ქორწილს არასოდეს დასწრებია, არ იქნება, მეფეო!

ბერიკა (წამლერებით). სა მე ფო და თა ვი ც ჩე მი ქვე შე დრო მად, მო რჩი ლად!

დუმილი.

ლიონიძე. გვფარვიდა, ჯარს გვიგზავნიდა, მორჩილება რისთვის, მეფეო?!

მუხრან-ბატონი. მეფენი ძალაუფლებას არავის ჩუქნიან!

გიორგი (ერთხანს უხმოდ შესცემის მუხრან-ბატონს). მხოლოდ მაშინ სარდალო, როცა მეფისთვის მთავარი ტახტი კი არა, ხალხის მშვიდობა და სიკეთეა. დიდმა ერეკლემ ბრძანა საქართველოს გზა ჩრდილოეთისაკენ უდევსო. ჩემი დესპანი მალე გაემართებიან იმპერატორ პავლესაკენ: მეფეს სურს ქართლ-კახეთი გახდეს ქვეშედრომი და მორჩილი რუსეთისა.

იოანე. ვაი, საქართველოს, რა გესმით, ივერნო!

ბერიკა. გაიგონე, შეისმინე, ქართლ-კახეთო, მეფის მოთავეობით რუსეთის მორჩილი ზდები!..

ხალხი აჩოჩქოლდება.

- გავიგონოთ მეფის ნათქვამი!
- გაგვაგონეთ, ხალხნო!
- რა ხმაურიაა!
- თქვენა გემრიელად ზიხართ ციხე-კოშკებში!
- ოხვრა კი არა, სიხარული გვმართებს!

გიორგი. ჩემი დესპანნი ხელმწიფე იმპერატორს მოახსენებენ, რომ მეფეს, ეკლესიას, დიდებულებს და ხალხს დიდად სწადით გახდნენ რუსეთის ქვეშედრომნი. ჩემს შემდგომად საქართველოს მეფობას განაგრძობს მე ჩემი -- დავით. საქართველოს ვმართავთ იმ კანონებით, რომელსაც მოგვცემს ხელმწიფე იმპერატორი. მეფე საქართველოსი კი არა-რა კანონის შემოღებას არღა ინებებს (შებარბაცდება).

კოვალენსკი. მეფევ!

ლიონიძე (ხელს შეაშველებს). მეფეო!..

გიორგი. სოლომონ, მომეშველე, რაღაც ვერა...

კოვალენსკი. ბრძანეთ, მეფეო, ხალხი გისმენთ!

იოანე. ხალხი კი არ უსმენს, რეტლაცემული დუმს.

კოვალენსკი. გისმენთ, მეფეო!

გიორგი. მეფენი კი კვლავაც ქართველი იქნებიან... ქართველნი... ქართველთა ძენი...

ლიონიძე. მეფეს ისეთი რამ წამოცდა, ენა ერთმევა.

კოვალენსკი. ხალხი უსმენს, ხალხი მეფის სიტყვას ელოდება!

ლიონიძე. უფალო მინისტრო, ხალხმა ისეთი რამ მოისმინა, უგონოდა დგას.

შეძახილები:

- ბრძანე, მეფეო!

- გისმენთ!

მუხრან-ბატონი. მეფობა რაღად გინდა, რა აზრი აქვს — სამეფოს სხვას ჩუქნი!

- რუსნი მოუტანენ შვებას ქართველთა!

- დგება უამი საქართველოს მოსვენებისა!

- ეგ როდის იქნება: რუსის მოსვლამდე, თუ ბაბა ხანმა გვიხმარა!

- რუსი აქ არა გვყავს?

კოვალენსკი. მე ეგ ბრძანება არ მიმიღია, მეფეო, ჩვენ შემწედ მოვედით, რომ...

გიორგი (უჭირს, უმწეოდ). მე ასე გადავწყვიტე, ჩემი დესპანნი მალე... ხელმწიფის... წინაშე წარსდგებიან... საქართველო რუსეთს მივუერთოთ.

ლიონიძე. მეფე ცუდად არის!

იოანე. არც ახლა დაიჯერებთ, რომ ქართული მიწის გაჩუქებას ღმერთი არ პატიობს?

9.

ლიონიძე. დავით, უფალი მეფე შეუძლოდ ბრძანდება, ამხნევე ხალხი, საქართველოს მომავალი შენს ხელშია და თქვი სიტყვა!

დავითი (მცირე პაუზის შემდეგ). მეფეს უკეთ მოეხსენება საქართველოს მომავალი, ხელმწიფის ნება ურყევია!

დაბნელება.

სინათლის წრეში მომღიმარი ბერიკა მოექცევა.

ბერიკა (ფანდურზე მღერის). იწილო, ბიწილო შროშანო გვრიტინო,
ალხო, მალხო, ჩიტმა გნახო,
შენი ფესვი, ფესმანდუკი
აბდა უბდა გადასკუბდა,
აჯეგ მაჯეგ, მეფევ, ჩაჯეგ!
შუქი სცენაზე

მუხრან-ბატონი და ვახტანგი --ძე ერეკლე მეფისა და მმა გიორგისა.

მუხრან-ბატონი. განა, შენ არ შეჰკრიბე კარის 30 აზნაური და ანანურთან არ შეეგებე რუსებსა!

ვახტანგი. მერედა, ვიღას ახსოვს ეგ ამბავი: როგორც კი ჯარი თბილისს დაბანაკდა, ჩემგენ არავის მოუხედინა.

მუხრან-ბატონი. არ ვარგა ეგრე, ღვთის მადლმა, არ ვარგა!

ვახტანგი. იქვე ვიცოდით, მამა ბატონი სცდებოდა საქართველოს გიორგის რომ უტოვებდა -- გიორგიმ შვილზე ზრუნვის მეტი არაფერი იცის.

მუხრან-ბატონი. მივიდეთ და შევახსენოთ მეფე ერეკლეს ანდერძი. (ვახტანგი დუმს.) ან იქნებ, მმები დაუსხდეთ. იქნებ, ისიც აუხსნათ... საქართველოს გაჩუქება რუსებზედ, ცოდვაა! როგორ იქნება, მაგას არც ღმერთი აპატიებს, არც -- კაცი!

ვახტანგი. ყველაფრის გამო ჩვენი მმა -ალექსანდრე ბატონიშვილი მოსთხოვს პასუხს! ალექსანდრე ზაქის ჭამასაც დაავიწყებს, რუსებსაცა და შვილის მეფობისათვის ზრუნვასაც! ბატონიშვილს ყველაფერი ვაუწყოთ!

ბერიკა (ავანსცენაზე გამოდის, ღიმილით, ცეკვა-თამაშით). წერილი, უსტარი, სამთავრობო ცნობა! აღა მაპმად ხანის ძმისწულმა-- ბაბა ხანმა მეფე გიორგის უმაღ გამოუგზავნა წერილი (კითხულობს.) „მეფესა სრულიად ქართველთა-გიორგის: მე, ირანის ყაენი, მეგობრულად გთხოვ არ დაარღვიო საქართველოს ძველი კავშირი ირანის ყაენთან, არ დაივიწყო წყალობა, რომლითაც სავსე იყო საქართველო -- რუსთ არ მიანდოთ თქვენი სვე და ბედი. ქართველთ აღვუქვამ ჩემს მფარველობას, მათი სარწმუნოების შენახვას, ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე უფლების შენარჩუნებას, ისევე ვითარ იყო, მეფე ირაკლის დროს და უკეთუ მეფე ისაჭიროებს, 6000 ჯარისკაცის გამოგზავნას ჩემი ხარჯით ლეკთაგან თავის დასაცავად.“ (პაუზის შემდეგ.) ახლა ისმინეთ მეფე გიორგის პასუხი ბაბა ხანის წერილზედა!

გიორგი (ავანსცენაზე მოდის). „ირანი მდევნელად და მტრად შეგვექმნა, დაივიწყა ავგანისტანისში ქართველ მეფეთა, ჯარის დაღვრილი სისხლი. ირანმან გააოხრა სამეფო ჩვენი. ლეკნი ჩვენს ასაკლებად აღძრა. რუსებთან ერთი სარწმუნოება მაიმედებს ქვეყნის დამშენდებას. მათთან კავშირის დარღვევა არ შემიძლიან, ვერ შევირცხვენ პირსა და ვერც გავტეხავ მიცემულ სიტყვას. ყველა რუსეთის ხელმწიფოის მფარველობას თხოულობს.“

ბერიკა. და დატრიალდა, დაბზრიალდა! ბაბა ხანმა მეფე გიორგის პასუხი რომ მიიღო, ბრძანება გასცა (კითხულობს.) „ყარაბაღის, განჯის, შაქი-შირვანის ხანებს ვუბრძანებ: საქართველოს დასამორჩილებლად განამზადეთ ჯარი და საგზალი. თავრიზიდან ჩამოვიდეს ალექსანდრე ძე მეფისა ირაკლისა და წარუძღვეს ჯარსა, დაამხოს გიორგის მეფობა და გამეფდეს თავად!“

10.

ლიონიძე. ალექსანდრე ბატონიშვილი ირანში ეძებს საქართველოს ტახტს, მის მმას -- გიორგის რუსეთი მიაჩნია საქართველოს მხსნელად. შენა, შენ რას იტყვი, საქართველო!

დაბნელება.

სავარძელში მოკალათებული გრაფი მუსინ-პუშკინი მოუთმენლად ელოდება გენერალ ლაზარევს. თავმოკაუჭებულ ოქროსფერ სახელურიან ხელჯოხს ატრიალებს, საათს დაზედავს და წამოდგება, კოშკურა ცილინდრს დაიხურავს, გასასვლელისაკენ მიემართება.

ლაზარევი (შემოდის. მშრალად). დაბრძანდით, გრაფ!

მუსინ-პუშკინი. ჩემი აქ ყოფნის დრო ამოიწურა.

ლაზარევი. თქვენთან საუბარი მსურს.

მუსინ-პუშკინი. იქნებ, ჯერ ის გაგერკვიათ, გენერალო, მაქვს თუ არა მაგ საუბრის სურვილი, გნებავთ, დრო, ოფიცრები კი მერე გამოგეგზავნათ. გრაფი მუსინ-პუშკინი ოფიცრებს მოაყვანინეთ, ოთახში არ დახვდეთ, ნახევარი საათი ალოდინეთ და ბოდიშსაც არ უხდით!

ლაზარევი. ნუ ცხარობთ, გრაფ, გთხოვთ დაბრძანდეთ, უნდა გესაუბროთ იმ წერილის გამო იმპერატორ პავლე პირველს რომ გაუვზავნეთ. ნუთუ, ესოდენ სწავლულმა კაცმა, არ იცით, რომ იმპერატორს არ სურს საქართველოს შეერთება, არ აინტერესებს ეს დარიბი, უძლური დაჩაჩანაკებული ქვეყანა?

მუსინ-პუშკინი (ირონით). რასაკვირველია, საქართველოს ხომ უკვე აღარაფრად აგდებენ. როცა მოეპრიანებათ, ლეკები ააოხრებენ, ცხვარ-ძროხას, ტყვეებს წინ გაირეკავენ, ქართველ ქალწულებს ხმარობენ, მერე სოფელს უბარებენ კარგად ამშობიარეთ, თორებ მომავალ ზაფხულს მოვალთ და ამოგელიტავთო.

ლაზარევი (იქნებ, ბრაზითაც კი). ჩვენ აქ მხოლოდ იმის გამო ვიმყოფებით, რომ ქრისტიანული ვალი მოვიხადოთ დაჩაგრული ერთმორწმუნე ხალხის წინაშე.

მუსინ-პუშკინი. ვხედავ, რასაკვირველია, ვხედავ, მაგ შეცდომას, გენერალ!

ლაზარევი. იქნებ, ამისნათ: რატომ, რისთვის უნდა შეიერთოს რუსეთმა საქართველო? დიდი რუსეთის იმპერატორმა რატომ უნდა დაკმაყოფილოს დაჩაჩანაკებული ქვეყანის მეფუკას თხოვნა და ამოდენა ტვირთი აიკიდოს?

მუსინ-პუშკინი. გენერალო, ამის თაობაზე ხელმწიფე იმპერატორს მივწერე. თქვენ აქ მომიყვანეთ და არ დამდეთ პატივი თოთახში დამხვედროდით. ამით გამოხატეთ უპატივცემლობა გრაფი მუსინ-პუშკინისადმი. ნახევარი საათი გელოდეთ. თავს არ ვთვლი ვალდებულად გაგიმეოროთ ის, რაც მივწერე ხელმწიფეს. დროც აღარ დამრჩა.

კარგად ბრძანდებოდეთ! (თავს დაუკრავს.) მაქვს პატივი! (გადის).

ლაზარევი (გაოცებული შეჰყურებს). იმპერატორს იმაზე თუ მისწერეთ, როგორ მოიქცევიან ქართველები, როცა მტრებს ჩამოვაცილებთ, ცხოვრებას გაილალებენ, ძალას მოიკრეფენ, მოღონიერდებიან.

მუსინ-პუშკინი (მობრუნდება). მითხარით, გენერალო, თუ არც მის წარსულს, არც გადატანილ ოქებს—სარკინზებთან ბრძოლის დიდ ისტორიას, არაფრად ჩააგდებთ, როგორ უნდა მოგექცნენ? (ლაზარევი დუმს.) გრაფი მუსინ პუშკინი ისე აიგდეთ, ამ ოთახში ნახევარი საათი დააყედეთ, ამ საბრალო, დღეს გატიალებულ ხალხს რაღას უზამთ! (მცირე პაუზა—ლაზარევის პასუხს ელოდება) თქვენ არა გაქვთ პასუხი. მე კი ყველაფერს აქედანვე ვხედავ. კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).

დაბნელება.

ბერიკა (ავანსცენაზე გამოდის). აკი გითხარით, დატრიალდა, დაბზრიალდა-მეთქი,: პავლე პირველმა მეფე გიორგისა და მუსინ-პუშკინის წერილები სახელმწიფო საბჭოს

11.

გადაუგზავნა. სახელმწიფო საბჭომ იმპერატორს სამ კვირაში მისცა დასკვნა (წამლერებით.) „ეს არის ფრიად საჭირო კავშირი“ (იმეორებს.) ეს არის ფრიად საჭირო კავშირი. მეფე ქართლ-კახეთისა -- გიორგი რუსეთში თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს წერს: (კითხულობს.) „ყოვლად მოწყალე ხელმწიფისაგან ესევე წერილით ითხოვეთ აგარაკი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, ითხოვეთ საშესაბამო ჯამაგირი ჩვენთვის“. ახლა კი გრაფი როსტოფჩინი მეფე გიორგის ელჩებს -- ელოდება.

ნათდება სცენა.

როსტოპჩინი (დავთარში კითხულობს). მაშ ასე, 1800 წლის 14 ნოემბერი. შეხვედრა საქართველოს ელჩებთან. კარგია, კარგია! გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, ელიზბარ ფალავანდიშვილი. აჲ, ეს ფალავანდიშვილი! რამოდენა ცხვირი აქვს, თანაც როგორი კენიანი! შეიძლება ადამიანს ამოდენა ცხვირი ჰქონდეს? ეკატერინა მაქსიმოვნას მის დანახვაზე სიამით აურულებს! ამას კიდევ: ავალოვ! (ულვაშზე ხელს გადაისვამს) ასე რატომ მოსწონთ ავალოვის ულვაში, ასეთი რა ნახეს! (ფიქრობს.) რა საჭიროა სამ ელჩთან საუბარი! აი, ჭავჭავაძე ლირსეული ადამიანია. (გასძახის). მხოლოდ ერთი ელჩი შემოვიდეს - ჭავჭავაძე!

ჭავჭავაძე (შემოდის). მოგესალმებით, ვრაფ!

როსტოფჩინი (ახველებს). დიახ, მოგესალმებით! დავალებული მაქვს გაუწყოთ: მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ, ხელმწიფე სრულიად რუსეთისა -- პავლემ მოიღო მოწყალება და თანხმობა განაცხადა სამუდამო ქვეშედრომად მიიღოს საქართველოს მეფე და მისი ხალხი. ხელმწიფე იმპერატორმა ასევე მოიღო მოწყალება და მზად არის დაკამაყოფილოს მეფე გიორგის თხოვნა -- ხელმწიფე იმპერატორი საქართველოს მეფეს და ხალხს აღუქამს, რომ გიორგის შეუნარჩუნდება მეფობა -- სიცოცხლის ბოლომდე იქნება საქართველოს მეფე.

ჭავჭავაძე. უზენაესი ქართლ-კახეთისა, სვამს ტახტის მემკვიდრის საკითხს.

როსტოფჩინი (პაუზის შემდეგ). ხელმწიფე სრულიად რუსეთისა -- პავლემ მოიღო მოწყალება და თანხმობა განაცხადა მეფე გიორგის სიცოცხლის დამთავრების შემდეგ გენერალ-გუბერნატორის წოდებით საქართველოს მეფედ დამტკიცოს მისი უფროსი ძე -- დავითი, ხოლო საქართველო გახდება რუსეთის ერთ-ერთი გუბერნია და დაურქმევა საქართველოს სამეფო.

ჭავჭავაძე. დიახ, ჩვენთვის მთავარია საქართველოს სამეფოს შენარჩუნება, ბაგრატიონები ათი საუკუნეა საქართველოს უძლვებიან.

როსტოფჩინი. იმპერატორი საქართველოს მეფეს რუსეთიდან დაუნიშნავს თავის დიდებულს. საქართველოს მეფე ყოველ დოკუმენტს მხოლოდ მას შემდეგ მოაწერს ხელს, რაც რუსი დიდებული გაიზიარებს მას.

ჭავჭავაძე. ჩემს მეფეს ყველაფერს მოვახსენებ.

როსტოფჩინი. რუსი დიდებული დაენიშნება ყოველ ქართველ ჩინოსანს, იქნება იგი მოსამართლე, თუ სამხედრო პირი. იმპერატორი მეფეს უნიშნავს ძალიან დიდ ხელფასს -- 20 ათასი თუმანი მისთვის და სამეფო ოჯახის წევრებისათვის.

ბერიკა. გიხაროდეს ივერთა მეფევ, ხელფასი დაგინიშნეს!

როსტოფჩინი. მეფე გიორგი ხელფასს მიიღებს საქართველოს წიაღისეულისა და სხვა შემოსავლიდან. თუ სამეფო ოჯახის რომელიმე წევრი რუსეთში ცხოვრებას ისურვებს, მისი წოდების შესაფერ მდგომარეობას შეუქმნიან.

ჭავჭავაძე. მოხარული ვარ. ჩემს ხელმწიფეს აინტერესებს სახანოთა საკითხი.

ერევნის, განჯის და ყარაბაღის სახანო მეფე ერეკლეს დროსაც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა. ჩემი ხელმწიფე იმედოვნებს, რომ ამ სახანოთა გამგებლობა შეუნარ-ჩუნდება. საქართველო თავისივ გასალებით შემოდის რუსეთის გამგებლობაში.

როსტოფჩინი. თქვენ გწადიათ, ყველა საკითხი რუსეთის მეოხებით გადაწყვიტოთ.

12.

ჭავჭავაძე. ეს სახანოები მრავალი წელია საქართველოს უხდის ხარჯს.

როსტოფჩინი: საკითხი არ გადაწყვდება, ვიდრე არ გაკეთდება შემდეგი: აქ სამი ელჩი ხართ... ჭავჭავაძე. დიახ.

როსტოფჩინი. ორი გაემგზავროს ტიფილისს, ხალხს აუწყოს იმპერატორის ნება და მოამზადონ კიდევ ერთი თხოვნა თქვენი ხალხისა...

ჭავჭავაძე. ჩემი მეფის ასეთი თხოვნა იმპერატორს უკვე მივართვი.

როსტოფჩინი. ახალი თხოვნა აუცილებელია. იმპერატორს საქართველოს რუსეთის გუბერნიად მიღება შეავედროს თავად-აზნაურობამ, თხოვნა გამოუგზავნონ სასულიერო პირებმა, აი, ამის შემდეგ იმპერატორი კეთილ ინებებს...

ჭავჭავაძე. მაშ, დაგემშვიდობებით, კარგად ბრძანდებოდეთ!

დაბნელება.

სამეფო ოჯახი: მეფე გიორგი, დედოფალი მარიამი და დავითი.

ავალმყოფი გიორგი სავარძელშია.

გიორგი. ლაზარევი რატომ აგვიანებს?

დავითი. სადაცაა გამოჩნდება, მამავ ბატონო!

მარიამი (გაღიზიანებული). ის უამური კაცი უნდა მოვიდეს?

გიორგი. დღეს ჩვენი სამეფოს მშველელი ეგ არის!

დავითი. რჩევას მოგცემო, ბრძანებდი, მამავ ბატონო.

გიორგი. ვამბობდი, მაგრამ... ღირს რამედ კი ჩემი რჩევა? მე ერთი გატიალებული ქვეყნის მეფე ვარ. ამისთანა დროებაში დიდი ჭკუა გინდა, ძალიან დიდი! პატარაა საქართველო... დიდ ქვეყანაში მეფე შორს არის და რიდიც მეტი აქვთ... ჩვენთან კი... სასახელოდ მეფის რქენა მიაჩნიათ. ქადილობენ კიდეც მეფეს უგრე მივუგე, სიტყვით გავაშავეო.

დავითი. ასე რატომ გაგვიჭირდა საქართველოს პატრონობა?

გიორგი. იმ სულკურთხეულს—შენს დიდ სეხნიას, რომ არ უჭირდა?

დავითი. იქნებ, ჩვენა ვართ ბრალეული? ვცდილობთ, ქვეყანას პატრონად ვექცეთ, ისინი კი... ყმებს გვიმალავენ-- აღა მაპმად ხანი ქალაქს ყელსა სჭრიდა, აოხრებდა, ზოგიერთი თავადი კი ტახტზე კოტრიალებდა.

გიორგი. მეფეს ორი გზა აქვს: მათრახისა და დათაფლული ენისა. დათაფლული ენა ეამებათ, მაგრამ ხვალ თათარას მოგთხოვენ. თუ არა გაქვს ეს დალოცვილი თათარა? ენად გაიკრიფებიან და მერე როგორა! შენს დიდ სეხნიას--მეოთხე დავითს--მათრახი ეჭირა ხელთ, მრისხანედ გადაუტყლაშუნებდა, ერი მორჩილებდა და ქვეყანა ძლიერდებოდა... შენ რა გზას აირჩივ?

დავითი. მათრახის თათარას შევუნაცვლებ და თათარას -- მათრახის.

გიორგი. მათრახი მეტად ჭრის- თუ ჩვენს თავადს, გინდა აზნაურიშვილს, შიში არა აქვს...

დავითი. თათარა და მათრახი ერთად, ერთიმეორის მიყოლებით...

გიორგი. სახელმწიფოს კანონი ასულდგმულებს, ჩვენი კაცები კანონს არად მიიჩნევენ.

რუსი კანონით მოდიან, და ოხვრა-ვაება მეტი იქნება...

დავითი. იქნებ, მათრახის შიშმა კანონი შეაყვაროთ?..

გიორგი. შიში... შიში შეაყვრებთ, შიში სიყვარულსაც შობსო, ხომ დაგვიბარა, იმ სულკურთხეულმა, მაგრამ. . .

დუმილი

დავითი. რა? მაგრამ რა...

გიორგი. როგორც კი მათრახს მოაკლებ, ისე აიშვებს, ვერაფერი შეაკავებს.

დუმილი

დავითი (უმწეოდ). მაშ... მაშ... შემწეობა რით გავუწიო, როგორ ვუშველო ამ ბედკრულო?

გიორგი (მცირე პაუზა) ცოდნა... ცოდნა მიეცი!

13.

მსახური (შემოდის). რუსთ გენერალი გეწვიათ, მეფევ, თქვენი ნახვა სურს.

გიორგი. მობრძანდეს, ველოდებით.

ლაზარევი (შემოდის). თანახმად თქვენი მოწვევისა, გამოვცხადდი.

მარიამი (გალიზიანებული). მე დაგტოვებთ! (დემონსტრატიულად გადის. ლაზარევი ცივ მზერას გააყოლებს).

გიორგი. მობრძანდი, გენერალო!

ლაზარევი. იმედი მაქვს, მალე გამოჯანმრთელდებით და კვლავ გაუძლვებით სამეფოს.

გიორგი. მე მხოლოდ იმპერატორის ყურადღება მომცემს მალასა და მხნეობას. სულმოუთქმელად ველოდები, როდის მოიღებს მეფე ნებას-- საქართველო როდის გახდება რუსეთის ნაწილი აღსასრულამდე სოფლისა.

დავითი. აღსასრულამდე სოფლისა, გენერალო, უკუნითი უკუნისამდე...

ლაზარევი (ჯერ გიორგის შესცეკრის დაკვირვებით, მერე დავითს. პაუზა გაუგრძელდება).

ფიქრობენ, თქვენო უდიდებულესობავ, დრო, დრო, დრო...

გიორგი. ფიქრი კარგია, საჭიროც არის, მაგრამ ამ ქვეყანას დროზე უნდა შველა...

ლაზარევი. ასევე მოვახსენებ...

გიორგი. აი, რატომ გიხმე, გენერალო... აირია ქალაქი. ახლობელი ახლობელს არ ინდობს, მეზობელი მეზობელს ესხმის თავს, დღისით, მზისით ერთმანეთს ქონებას ართმევენ და თუ არ დაანებეს, ხოცავენ... ადამიანებს იტაცებენ, რომ რაიმე წაგლიჯონ.... ვიდრე ქვეშედრომობის მანიფესტი მოვა, მიეშველეთ ქალაქს... (გაჩუმდება.) ჯანი რომ მომდევდეს... კიდურ მომდევდეს, ეს ჩემი ძმები კრიჭაში ისე მიდგანან...

ლაზარევი. ჯარი საზღვრებთან ჩავაყენეთ -- ბაბა ხანის ურდოებს გზას ვუკეტავთ, გორშიც ჩავაყენეთ, ლეკები ხან სად გამოჩნდებიან, ხანაც -- სად. ჯარი გავშალეთ...

გიორგი. ქალაქშიც, ქალაქშიც იღონეთ რაიმე. მეორესაც გეტყვი, გენერალო, თორებ ცუდადა ვარ, ვაითუ, დამჯაბლოს სენმა და ვეღარ შევძლო: ვგონებ, ვხვდები, მიმანიშნეს კიდურ, იმპერატორი, თუ რითვინ აყოვნებს საქართველოს ქვეშედრომად აღიარებას.

ლაზარევი. მე არაფერი ვიცი...

გიორგი. ჩემი სულცხონებული მამის -- მეფე ერეკლეს ოსმალებთან 1786 წელს დადებულ თავდაუსხმელობის ხალშეკრულებზე გადამიკრავენ ხოლმე სიტყვას. ამით ერეკლემ გიორგიევსკის ტრაქტატი ნაკუწებად აქციაო.

ლაზარევი. კოვალენსკი?

გიორგი (ლაპარაკი უჭირს). მოახსენეთ, სადაც ჯერ არს: ეს დალოცვილი სამშობლო უფალმა ისეთ ადგილას გაგვიჩინა, ყოველ მეზობელს მასზედ უჭირავს თვალი. საქართველო უნდათ... ზოგჯერ მტერს თუ მეგობრად არ მოაჩვენე თავი, გაგსრესს (უჭირს.) დიდი ერეკლე ხალხისა და ქვეყნის გადარჩენისთვის... (გაჩუმდება). სხვებიც, სხვა მეფენიც... ეგრე ყოფილა... სხვაგვარად ვერ გადავრჩებოდით...

ლაზარევი. გასაგებია, თქვენო უდიდებულესობავ... ნუდარ შეწუხდებით.

გიორგი (უმწეოდ). დავით, გენერალი პატივით გააცილე!

ლაზარევი. თუ ნებას მომცემთ, ვალდებული ვარ ჩვენი უკმაყოფილება გამოგიცხადოთ.. (დავითის უკმაყოფილო მზერას რომ ჰკიდებს თვალს). დიახ, ჩვენი თხოვნა...

გიორგი. გისმენთ, ბრძანეთ!

ლაზარევი. სამი ათასი შეიარაღებული ავარელი კვლავ ტფილისშია.

გიორგი. ვიცი, მახსოვს, მაგრამ... (დუმს. მის მზერაში უმწეობა იკითხება.) დედინაცვალი ჩემი--დარეჯანი, მმები დღემუდამ მეტუქრებოდნენ, ტახტზე შენ კი არა, იულონი უნდა იჯდეს, გაგკოჭავთ და ტახტზე იმას დავსვამთ, ვისაც ეკუთვნისო, რუსეთი კი აყოვნებდა, თქვენი ჯარი არ ჩანდა... ავართა ხანს მოვურივდი, სამი ათასი კაცი გამომიგზავნა, რომ დაეცვათ მეფობა ჩემი და ქვეყნაშიც სიმშვიდე ყოფილიყო... ოქროთი ვუხდიდი.

ლაზარევი. ჩვენ მოვედით— ქვეყნასაც ვიცავთ და თქვენს მეფობასაც. სამ თვეზე მეტია, აქა ვართ, ავარელნი კი არ დაგითხოვნიათ, თუმც გთხოვეთ... (ხაზგასმით) რატომ?

დავითი. მურადი ჩვენი ტახტის ერთგულია, მეფე-ბატონს ერთგულად იცავს...

14.

(გიორგის უკმაყოფილო მზერას შეავლებს თვალს) იცავდა.

ლაზარევი. ეს მიუღებელია, ეს არ შეიძლება, ჩვენ ეს არ მოგვწონს...

დავითი. ჯარი თქვენა გყავთ, ძალა თქვენს ხელთ არის...

გიორგი კვლავ უკმაყოფილოდ გადახედავს შვილს.

ლაზარევი (დავითს ირონიული ღიმილით). ერთობ საამო ჭაბუკი ხართ. მჯერა თქვენი დიდი მომავლისა (ხაზგასმით.) უფლისწულო! (გიორგის.) დედაქალაქში სამი ათასი კარგად შეიარაღებული უცხო ჯარისკაცი დგას, ერთი ნაწილი მეტების ხიდთან, მეორე კი –მაღლა, ავლაბარში. გარდა იმისა, რომ ჩვენს ჯარს მოძრაობას უშლის, ღამღამობით რუსულ ზასტავას თავს ესხმიან, ამ ორ თვეში სამი სალდათი მოვიკლეს, იარაღიც გაიტაცეს.

გიორგი (უმწეოდ). რა ვქნა, რა ვუყო! ორჯერ ერთგული სამსახურისთვის მაღლობა მოვახსენე, ისიც ვუთხარი, თქვენი აქ ყოფნის დრო ამოიწურა, შეგიძლიათ სამშობლოს დაუბრუნდეთ-მეთქი.

დავითი. მეფის ეგრე ნათქვამი ბრძანებაა, ორი თვეა ქირასაც არ ვუხდით, აღარა გვჭირდება და იმიტომა...

გიორგი. შემძმითვალა, თქვენი ნახვა მწადიანო, მოვა და კიდევ ერთხელ ვეტყვი, რომ...

ლაზარევი (ფრაზას არ დაამთავრებინებს). ერთ კვირას კიდევ მოვითმენთ, თუ ერთი კვირის შემდეგაც ისევ აქ იქნებიან...

დავითი. ფეხსაც არ მოიცვლიან.

ლაზარევი. მე კი ვალდებული ვარ, ჯარს ვუფრთხილდებოდე-- რუსული იარაღი ბასურმანთა ხელში არ ექცეოდეს. იმულებული გაგხდები, ვიძოქმედო.

გიორგი. ეს როგორ, ეს ხომ იმას ნიშნავს... (თავს შეიკავებს, ფრაზას აღარ დაამთავრებს).

ლაზარევი. თავს ვალდებულად ვრაცხ, კიდევ ერთხელ გაუწყოთ: მე უნდა ვუფრთხილდებოდე ჯარის ღირსებას, იარაღს, სალდათებს... თქვენი ყოყმანი კი ხელს მიშლის -- მოვალეობას ვერ ვასრულებ, ამას ბოლო უნდა მოვუღოთ.

დავითი. როგორც კი მოვა, გავათავოთ!

გიორგი (უკმაყოფილოდ). დავით! (ლაზარევს.) ჯერაც ჭაბუკია, სიჭაბუკე აცხარებს...

ლაზარევი (დავითს აცქერდება). დიახ, დიახ... უფლისწულის აზრი საგულისხმოა.

მსახური (შემოდის). გეახლათ ავარელთა რაზმის მეთაური მურად!

გიორგი (ლაზარევს) იმ დარბაზში ჩინებული ნახატებია, იქნებ, მზერა მშვენიერებით აღივსოთ, მალე გავისტუმრებ.

ლაზარევი (მეფეს თავს დაუკრავს). თქვენის ნებართვით! (გადის).

მურადი (შემოდის მხნე, მომღიმარი, მხიარულიც კი. მეგობრული ინტონაციით). მტრობა, ღალატი, გაუტანლობა მსმენია, მაგრამ ასეთი? ძლიერ დაუნდობელნი ყოფილან გიაურნი, მეტისმეტად გაუტანელნი—თქვენი ძმები, დედინაცვალი თქვენი--რა სიკეთეს არ მპირდებიან, რას არ მთავაზობენ, რომ გადამიბირონ, მაგრამ... (დუმილი. ცივი მზერა) ძლიერ სწადიათ მეფის წინააღმდეგ ამამხედრონ...

დავითი. მურად, დღეს მეფისა და საქართველოს სიმშვიდეს, მძლეთამძლე რუსის ჯარი იცავს. კიდეც გადაგიბირონ, რა შეიცვლება, გარდა იმისა, რომ სისხლი დაიღვრება.

მურადი (სიცილით). თეთრნიფხავიანები? მაგათი სისხლის დაღვრა მადლია, სანაქებო!

დავითი. (ცივად). ამის სათქმელად არ მობრძანდებოდით, მეფეს ამისთვის არ შეაწუხებდით!

მურადი (ცივი დახვედრა იგრძნო პაუზა. იქნებ, ირონიულადაც) მეფე, ჰო, მეფე... (ხაზგასმით, გაფრთხილების ინტონაციით) ავართა ჯარს ორი თვეა ხელფასი არ მიუღია!

დავითი. სწორედ ორი თვის წინათ მეფემ გამოგიცხადათ, თქვენი დახმარება აღარ გვჭირდებაო?

გიორგი. ერთგული სამსახურისათვის მადლობაც გითხარით, კვლავაც შეგაქებ თქვენს ერთგულებას, მოვალეობის შესრულებას და მოგახსენებთ: დადგა დრო, სამშობლოს დაუბრუნდეთ!

მურადი. მეფეო... გიორგი, თეთრნიფხვიანებს ენდობი?! ეგენი ხომ ხვალ-ზეგ აიყრებიან, თავად თუ არ დაადგებიან გზას, ხონთქარი ასწავლის, როგორ გაიქცნენ, თქვენ კი

15.

დაუნდობელ დედინაცვალს, ძმებს შეგატოვებენ!

გიორგი. გადასახადი ორი თვის წინათ იქნა გადახდილი. თქვენი სამსახური აღარა გვჭირდება, საქართველოდან გამგზავრების წინ, ნიშნად დამშვიდობებისა, ოქროს გჩუქნი! (ქისას გაუწვდის.) ინებე, მურად!

მურადი. მოწყალებისთვის არ მოვსულვარ, არცა ვღებულობ. გასამრჯელო!

გიორგი. ეგ ოქრო ძღვენია მეგობართა დამშვიდობებისას.

მურადი. ჯარის გასამრჯელო, მხოლოდ ჯარის ორი თვის გასამრჯელო, სხვა არაფერი!

დავითი. ორი თვის წინ გეუწყათ, რომ საქართველოს რუსთა ჯარი იცავს და თქვენ შეგიძლიათ სამშობლოს გზას დაადგეთ!

მურადი. ხონთქარს არც დაველოდები, მაგ რუსის ჯარს ამაღამვე გავყრი ტფილის – ქალაქიდან!

გიორგი. დაოკდი, მურად, აკი გითხარი: ეს ოქრო გამგზავრების წინა მეგობრული ძღვენია, მშვიდობიანი გზა გქონდეთ!

მურადი. მე ამ ქალაქში ჩემი ხანის დავალებითა ვარ და ოცა მობრძანებას ინებებს, აქ უნდა დავხვდე,

დუმილი. დავითი მეფეს შესცქერის.

სწორედ, ასეა, ქალაქის კარი მე უნდა გავუღო, იქ უნდა შევეგებო!

გიორგი (პაუზის შემდეგ. მშვიდად). უმჯობესი იქნება, თუ ამ ქალაქს დღესვე გაეცლები, შენს ხალხთან ერთად!

მურადი. მე ჩემი ხანის ბრძანებას ვასრულებ.

გიორგი (ხანგრძლივი დუმილი). ისმინე ქართლ-კახეთის მეფის ბრძანება: შენ, შენმა ჯარმა დღესვე დასტოვეთ ქალაქი!

მურადი (ღიმილით). მე ჩემი ხანის ბრძანებას ვემორჩილები და არა გიაურთა მეფუკასი!

შემოვარდება ორი რუსი ჯარისკაცი. **მურადს ეძგერებიან.**

გიორგი (წამოიჭრება). რას სჩადით, ახლავე გაეცალეთ მეფის სამყოფელს!

მურადი (ჯარისკაცებს უმკლავდება). ოი, მოღალატე, გიაურო, ეს რა მიყავი!

გიორგი. შეჩერდით-მეთქი, გიკრძალავთ!

ჯარისკაცებმა მურადი ქვეშ მოიგდეს, ხელებს უკრავენ

ლაზარევი (შემოდის. მურადს). დაპატიმრებული ხარ რუსულ ზასტავაზე თავდასხმის, რუსი ჯარისკაცების დახოცვისა და ჩვენი იარაღის გატაცებისათვის!

მურადი. კვლავაც დაგხოცავთ, თეთრნიფხვიანებო!

გიორგი (უღონოდ ეშვება). სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი!

მურადი. ჰა, მურად, სულელო მიმნდობო, რატომ დაინდე მოღალატე ქართველები!

ლაზარევი. გაათრიეთ და მაგათ რაზმს დაერიეთ! (მურადი გაჰყავთ. გიორგის) ასე გვიწევს, წესრიგის დამყარება თქვენს სამეფოში, უნდა გაგეცალოთ! (გადის).

დავითი (ლაზრევს აცილებს). უგრე, უგრე, აღსასრულამდე სოფლისა, უკუნითი უკუნისამდე, ვითარცა მთვარე ცაზედა!

ლაზარევი გადის. დავითი სასოებით შესცემის მიმავალ გენერალს

იოანე (შემოდის). ბატონიშვილო და ბიძავ ჩემო! მეფე როგორა ბრძანდება?

დავითი (გულგრილად, კვლავ ლაზარევს მისცემის). ისევე, როგორც გუშინ, გუშინსწინ და იმის წინა.

იოანე. გადარჩენის იმედი...

დავითი. უიმედოდ ვართ, სარდალო!

იოანე. თუ მეფის სულმა ტახტზე ჯდომა ცაში ისურვა, არავინ იცის, რუსი რა გზას ირჩევენ. გული მითქვამს: არ დაგვინდობენ, მეფედ შენა ხარ შესახელებული. ქვეყნის პატრონობას დღესვე უნდა მოჰკიდო ხელი, მიბრძანე და გავყრი რუსებსა.

დავითი (თუ აქამდე უგულისყუროდ ესაუბრებოდა, გაოცებული მოუბრუნდება). რა მითხარი? რუსებს გაჰყრი?!

იოანე. ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ძლიერ არ მოუდგამთ ფეხი, ეგ ამბავი არ უნდა გაჭირდეს.

დავითი. რუსთა საქართველოდან გაყრა გეპირება?

16.

იოანე. თუ შენ, მეფე წვალინდელი საქართველოსი, მიბრძანებ...

დავითი. მერე?

იოანე. დღეს ადვილია მათი მოკვეთა. დავიცვათ ქართველთ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გიმეფნიათ ბაგრატოვანთ, ისე იმეფე!

დავითი (ერთხანს ყურადღებით აცქერდება). რუსები გავყაროთ და საქართველო თქვენ გაჯიჯვნინოთ, ქვეყნა კვლავ ურჩი თავადების კერძი გავხადო?

იოანე. რას ამბობ, დავით!

დავითი. გწადიათ, თქვენს ნებაზე იპარპაშოთ, მეფეთა კანონები თქვენს ჭკუაზედ ატრიალოთ!..

იოანე. უკალრებელს მკალრებ, დავით!

დავითი. თქვენ, კუდაბზიკებს, მანამ არ გეშველებათ, სანამ კანონის მორჩილნი არ გახდებით, რუსი მოთოკავენ თქვენს ამპარტავნობას, რუსი გაგხდიან კანონმორჩილად, სწორედ მაშინ აშენდება საქართველო! (მიდის).

დაბნელება.

სცენას სიამოვნებით მოგვრილი ქალის თავშეკავებული ტკბილი კვნესა მოიცავს.

ანასტასიას ხმა (თითქმის ჩურჩულით). კარმა სანტელი ჩააკრო, ოტახში ბნელმა დაისადგურა.

დავითის ხმა. ავანთო?

ანასტასიას ხმა (შესძახებს) არა, ჩემტან იკავი, ი ბეზ ეტოგო ხოროშო, კ ჩემუ!

მტლაშა-მტლუშის ხმები

ოი, პრეკრასნო, ოი ხოროშო, სილნეე, სილნეე, მოი არიოლ!

სიამოვნების აპოთეოზს მიღწეული ქალი მსუბუქად შეჰერდებს კიდეც და სიჩუმე ჩამოვარდება. პაუზის შემდეგ.

ვოტ ონო—გამოდის იცოდნენ. მეუბნებოდნენ: რა კარგია, საქართველოში რომ მიდიხარო. დავითის ხმა. მაგას ვინ ჩაგძახოდა?

ანასტასიას ხმა. ჩემი მეგობრები.

დავითის ხმა. მაშ, როგორა, ბარიშნია, ქალი კაცით არი ნამდვილი ქალი!

ანასტასიას ხმა. და კაცი ქალითაო, არა?

შუქი სცენაზე

სარდალ კონსტანტინე მუხრან-ბატონის დარბაზში სუფრაა გაშლილი. სუფრას რატიშვილი, სარდალი იოანე და პირქუში მუხრან-ბატონი შემოსხდომიან.

რატიშვილი. მხოლოდ იმისთვის არ მოგვიხმობდი, სარდალო, პირუკმეხად ვისხდეთ.

იოანე. სარდალო, ლამის ბოლმამ დამახრჩოს. სიტყვა გვითხარ კაცური!

მუხრან-ბატონი. მამულს გაუმარჯოს ჩვენსას. ჩვენ მუდამ მამულის სამსახურში ვიდექით. მისი სიკეთისთვის ვიღწვოდით, მის სადიდებლად არც ხვალ დავიშურებთ ძალ-ღონეს.

განა იმის დაუნახაობა იქნება, როგორ ერთგულად ვმსახურებთ მამულსა, მაგრამ რა... ლიონიძეს ხომ უხმე?! მოსვლა არ ინება!

რატიშვილი. არც მობრძანდება, ტახტის მემკვიდრის აუგად ხსენება გულსა ტკენს.

ლიონიძე (შემოდის). ქართველთ არას გვარგებს ხვალინდელი მეფის აუგად ხსენება.

იოანე. ტახტის მემკვიდრე ტახტისთვის დამაშვრალ ადამიანებს აღარ ინდობს!

მუხრან-ბატონი. ასე რად შეგვიძულა. ჩვენი სამსახური რატომ აღარ უნდა?!

ლიონიძე. დღეს ქართველნი იმისთვის არ უნდა იკრიბებოდნენ, უფლისწულს აძაგებდნენ, მეფე ხვალ-ზეგ სულს დალევს. ქვეყანა თავს არ დაგვემხოს. რა დროს ეგ არის!

რატიშვილი. დავითს არ მოვწონვართ. არც ჩვენ მოვწონს!

ლიონიძე. მეფეს უნდა მორჩილებდეთ, დიდებულნო!

17.

მუხრან-ბატონი. სარდლებს—მე, აი, იოანე ორბელიანს ღირსებათა წართმევას გვიპირებს. თქვენი სარდლობა არად მიღირს, ნამდვილი სარდლები მომივიდნენო.

მოულოდნელად არეს გაჰკეთს ლაზარევის მრისხანე ძახილი:

ლაზარევის ხმა. აქ მომგვარეთ, სასწრაფოდ აქ მომგვარეთ იოანე ორბელიანი. ქართველთა სარდალუკა!

ლიონიძე. წარჩინებულნო, ისეთ ქვეყანაში დავიბადენით, ყველანი ქვეყნის გუშაგნი ვართ -- სარდალიცა და გლეხიცა. დღეს კი მაგ სიტყვებით მთავარზე ამბობთ უარს.

იოანე. ჩვენი დამდაბლება სწადია!

ლიონიძე. ღირსება გაპარვიათ -- თვალსა და ხელს შუა დაგიკარგავთ, თავადნო, ტახტის მემკვიდრეს არ უნდიხართ? თავად გაეცალეთ: მოახსენეთ: „სანამ გჭიროდი, გემსახურე, ახლა მზადა ვარ იქ დავდგე, სადაც ადგილს მიმიჩენ“. ღირსებას ეგ შეგმატებთ!

მუხრან-ბატონი (ხმამაღლა იცინის. გაუგრძელდება კიდეც სიცილი). სოლომონ, რა რჩევას

გვაძლევ: მეფეს ქვეყანა დასაღუპად ემეტება და მე მორჩილებით თავი დავუკრა?

ლიონიძე. ქართლ-კახეთში ყოველ ღვთის გაჩენილს ქვეყნის ბედის გამგებლად მოაქვს თავი: ის კი არა მე უნდა ვუძღვებოდე ქვეყანას, მე ვიცი, როგორ ვძლიო მტერიო!

მუხრან-ბატონი. დავითის მეფობა არ იქნება!

რატიშვილი. დავითის მეფობა საქართველოს თავისმოჭრაა - დაამხობს ქვეყანას!

მუხრან-ბატონი. გესმის, სოლომონ? ერის ხმა კი იქ, მაღლა ეკურთხება!

ლიონიძე. მაშ, ვიღა, ვინ უნდა იყოს მეფე საქართველოსი!?

რატიშვილი. რომელიც გნებავს შვილი მეფისა ერეკლესი, რით ვერ გასწევენ მეფობას იულონ, გნებავს, ალექსანდრე, ვახტანგს რას უწუნებ, ან მირანს. ფარნაოზი? ყოველი ამათგანი, ყოველი ძე მეფე ერეკლესი, საქართველოსთვის დაშთება.

ლიონიძე. რუსეთის იმპერატორმა დავითი დაამტკიცა, სხვათა სახელდება ქვეყანას არევს.

მუხრან-ბატონი. არა, არცერთი! ერეკლეს ძენი -- გიორგის ძმები, ერთმანეთს დაერევიან, რატომ მე არ მხვდა მეფობაო, ტახტისთვის ბრძოლას საქართველოს გადააყოლებენ.

ლიონიძე. აი, მაგიტომ უნდა ვიყუჩოთ, ვაითუ, ჩვენი შენ-ჩემობით მტერმა იმძლავროს.

რატიშვილი. მაშ, ვინა? თუ არც დავით, არც-- ერეკლეს ძენი, ვიღა?

მუხრან-ბატონი, ალექსანდრე ბატონიშვილს ლაშქარი უკვე შეუკრებია და ტფილის აპირებს შემოჭრას. ტახტი მე უნდა დავისაკუთროო.

იოანე. თავად გიორგის ძმათაგან ერთ-ერთი, დავითს ყოველი სჯობს!

ლიონიძე. სარდალნო, რა დროს ეგ არის, ტახტის მემკვიდრე დამტკიცებულია!

მუხრან-ბატონი. ვერცერთი ვერ იმეფებს. არცერთი არ ეტყვის ძმას: „შენ იმეფე, მე კი შენს გვერდით მიგულვეო“. რომელი ძმაც არ უნდა ვირჩიოთ, ქვეყანა კიდევ უფრო აირევა.

ლიონიძე. მაგიტომაც შეჩერდით, აი, მანდ შეჩერდით! რუსთა იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა, მას დავუმშვენოთ მხარი, ჩვენი ერთობით გავაძლიეროთ!

მუხრან-ბატონი. დავითი მეფედ არ ივარგებსო, ითქვა უკვე! იმისათვის, რომ ქვეყანაში სიმშვიდე იქნას და ძმები ერთმანეთს არ დაერიონ, საქართველოში გავრცელდეს ზეობა რუსეთის იმპერატორისა-- პავლე პირველის პირდაპირი მმართველობა საქართველოში!

ლიონიძე (ყვირის). რას სჩადით, ქართველნო!

კვლავაც ლაზარევის ხმა ავსებს არე-მარეს

ლაზარევის ხმა. ორბელიანი მომგვარეთ-ძეთქი!

მუხრან-ბატონი. მხოლოდ ეგრე-რუსეთის პირდაპირი მმართველობა საქართველოში!

ლიონიძე. ეშმაკი დაპატრონებია თქვენს სულსა და აზრსა! ჯვარცმულის მადლმა, იღუპება ქვეყანა: აქეთ სარდლები იწევთ, იქით -- მეფის ძენი, მელიქი და სომხობა ხომ გველურად იქცევიან...

მუხრან- ბატონი. ქვეყანა ეგრე არეული სანამ უნდა იყოს!

იოანე (უკმაყოფილებას არ ფარავს). რუსნი? და მაინც რუსნი? ეგ ხომ...

ლიონიძე. დღეს ემხობა დიდება საქართველოსი! ნაცვლად იმისა, რომ იბრძოდეთ,

ბაგრატოვანთა სისხლით, ოფლით დღემდე მოტანილ სამეფოს ყავარჯნებად შეუდგეთ...

18.

მუხრან-ბატონი (აწყვეტინებს). ხომ უნდა ეშველოს, ხომ უნდა დალაგდეს აწეწილ-დაწეწილი, დაცემული სამშობლო! რუსნი, მხოლოდ რუსნი და სხვა არავინ!

ლიონიძე. ცოდვილნო, ცოდვილნო! ბრალეული ხართ, არა დავითის, საქართველოს წინაშე!

შუქი სცენაზე. ლაზარევი და იოანე.

ლაზარევი. ბრძანებას არ მორჩილებთ — გიხმეთ და არ მოხვედით!

იოანე. ჩემი ხმობის უფლება მხოლოდ საქართველოს მეფესა აქვს, დღეს -- მეფის-წულსაც. საქართველოს ჯართა სარდალი გახლავარ და ჩემი მეფის ბრძანებას ვემორჩილები.

ლაზარევი. ტახტის მემკვიდრეს -- უფლისწულ დავითს შესთავაზეთ, რომ რუსეთის ჯარს საქართველოდან გაჰყორთ. ადასტურებთ?

იოანე. ცხადია, ვადასტურებ.

ლაზარევი. და თქვენ მზადა ხართ საქართველოდან რუსის ჯარი გაჰყაროთ?

იოანე. თუ მეფე მიბრძანებს, უნდა შევასრულო.

ლაზარევი. ეგ ხომ დანაშაულია!

იოანე. არა ვგონებ, უცხოთა ჯარის ქვეყნიდან გაყრა, დანაშაული იყოს.

ლაზარევი. ტახტის მემკვიდრეს თავად შესთავაზეთ...

იოანე. იმიტომაც ვარ სარდალი, მეფეს მზადყოფნა დავუდასტურო.

ლაზარევი (აწყვეტინებს). ორბელიანო, შენ რომ გესარდლნა, მე აქ რა მინდოდა, გაფრთხილებ: რუსეთი დაგსჯის!

იოანე. ბედისწერა, ბედისწერა და ჩვენივ წინგაუხედაობა სჯის ჩემს ქვეყანას. სარდალი

იოანე ორბელიანი რა სახსენებელია!

ბერიკა. და წავიდა იოანე ორბელიანი – დედაქალაქს განერიდა. ამ დღის შემდეგ, სასახლეში აღარ გამოჩენილა, სოფელში ზის და ვარამს გულში იკლავს.

დაბნელება.

კოვალენსკი და ლაზარევი

კოვალენსკი (შემოდის). სასწრაფო პაკეტი კავკასიის მთავარმმართებელ კნორინგისაგან.

ლაზარევი. რას გვწერს კნორინგი?

კოვალენსკი (კითხულობს). „იმ შემთხვევაში, თუ მძიმედ დაავადებული მეფე გიორგი გარდაიცვლება, ყოველი ღონე იხმარეთ, რომ არ მოხდეს მემკვიდრის მეფედ კურთხევა“.

ლაზარევი (წამოხტება. გაკვირვებული მიაჩერდება კოვალენსკის). ეს კი იმას ნიშნავს, ყველაფერი იცვლება. თვალყური ვაღევნოთ ტახტის მემკვიდრეს -- დავითს.

კოვალენსკი. არა მხოლოდ დავითს, მთელ სამეფო ოჯახს... მეფე ერეკლეს შვილებს – გიორგის ძმებს. ყველას!

დაბნელება.

ბერიკა (ავანსცენაზე მოურთხამს ფეხები). ცუდის მაცნე ვარ და რა ვქნა! 27 დეკემბერს, დილით მეფე გიორგის მადა დაეკარგა. არ ინება წვნიანი, არც პატრის მომზადებული ჩაი.

წყალმანკი გულს მოაწვა. საღამოს ლოცვის წინ შემძიმდა მეფე.

გიორგი (თეთრ სამოსში სცენის სიღრმიდან მოდის). მომიტევე დანაშაული, დედაო ჩემო, სთხოვე მმათა ჩემთა მომიტევონ ბრალი ჩემი მათთან. უფალო, შემიწყალე, დედაო ღვთისა, მიიბარე სული ჩემი!

ბერიკა. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფეს ულოცეს ცისკარი და წირვაც.

გიორგი. ხორცი და სისხლი მაცხოვრისა, შემიყვანს მე სასუფეველსა. თვით მაცხოვარი იზრუნებს სამეფოსათვის. რუსთა ხელმწიფესა ვტოვებ პატრონად ქრისტიანობისა. იგი განაგებს ყოველსავე. დედოფალო, ნუ სტირი ჩემთვის. იესო ჩემი – დაგატკბობს შენ და შვილთა ჩემთა. მოსავი ქრისტესი არა სადა დაეცემის.

დავითი. აღსასრულამდე სოფლისა, უკუნითი უკუნისამდე, ვითარცა მთვარე ცაზედა.

19.

ბერიკა. დილის 11 საათზე მეფე გიორგიმ სული განუტევა.

ავანსცენა

ლაზარევი. ივანოვ, გადაკეტეთ კახეთიდან ქალაქში შემოსასვლელი! (კაზაკები მკვეთრი ნაბიჯებით იკავებენ პოზიციას.) პარტიაგინ, გადაკეტეთ შემოსასვლელი გორიდან! (კაზაკები პოზიციას იკავებენ).

კოვალენსკი. შიშლოვ, ალყა შემოარტყით სასახლეს. ჩემი ნებართვის გარეშე სასახლეში ვერც ვერავინ შევიდეს და ვერც ვერავინ გამოვიდეს! პრაზდნოვ, ალყაში მოიქციეთ მეფე ერეკლეს შვილების: იულონის, ფარნაოზის, ვახტანგის, მირიანის სახლები.

ლაზარევი. აღყაში მოიქციეთ დარეჯანის სასახლე. (კაზაკები სხვადასხვა მიმართულებით მიემართებიან.)

კოვალენსკი. ჩერტოვსკი, აღყაში მოაქციეთ სიონის ტაძარი. კარგად შეამოწმეთ იქ შემსვლელი, გამომსვლელი!

აღელვებული ადამიანების შეძახილები, ქალების შეკივლება.

ლიონიძე. ისმინეთ, ქართველნო, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, პირმშო მეფე გიორგისა -- დავითი მიმართავს ხალხს.

დავითი. ქართველნო, იძინეთ და იშრომეთ მშვიდად, გამრავლდით და აშენეთ საყვარელი ქვეყანა ჩვენი. რუსეთის დიდმა ხელმწიფე იმპერატორმა ბედნიერ მყო და მცნო საქართველოს ტახტის მემკვიდრედ. ხვალ-ზეგ მოვა ფირმანი ჩემი მეფობისა. დღეს კი ვიწყებ ქვეყნის გაძლოლას და ვაცხადებ: თუ რამ დანაშაული გაქვთ ჩადენილი დღემდე, ყველას შეგენდოთ -- არ მოგეკითხებათ დღემდე ჩადენილი არცერთი ბრალეულობა, მაგრამ ხვალ დილიდან ყოველი დანაშაულისათვის გასამართლდებით რუსული კანონებით. დიდებული...

ლაზარევი (ყვირის). პორიადოკ, პორიადოკ! აქ მოუხმეთ ქართველ დიდებულთ. ყოველი ვინც ქალაქშია, აქ გამოცხადდეს!

ლიონიძე. ყველა აქ არის. მეფის გარდაცვალებით სულშეძრული ყოველი ქართველი დიდებული სასახლესთან მოვიდა.

ლაზარევი. ყველამ ისმინეთ!

ლიონიძე. ისმინეთ, ქართველნო, ლაზარევი გაუწყებთ! (დავითს.) ალბათ, მემკვიდრის ამბავი უნდა აუწყოს ხალხსა.

დავითი. ალბათ!

ლაზარევი. Я собрал вас всех чтобы вы выслушали повеление императора Павла: после смерти Георгия тринадцатого никого не назначать преемником Грузинского престола.

ლიონიძე. ეს რა მეხი დაგვეცა, დავით!

დავითი (დაბნეული). სმენა ხომ არ მატყუებს, სოლომონ!

ლიონიძე. სამეფო გარდაგვეცვალა, დავით, ქვეყანა დავგარგეთ!

შეძახილები:

-- ვერა-რა გავიგეთ!

-- არავინა ხართ ქრისტიანი?!

დავითი (ენა ებმის -- სიტყვა არ ისმის). მმმ... ხხხ...

შეძახილები:

-- გაგვაგებინეთ!

-- მოგვითარგმნეთ!

-- იქნებ, გვაუწყოთ!

ლიონიძე. რას ვშვრებით, დავით!

შეძახილები:

-- გაგვაგებინეთ!

-- მოგვითარგმნეთ!

-- იქნებ, გვაუწყოთ!

ლიონიძე იყუჩეთ, ხალხნო, ახლავ მოგითარგმნით: გენერალი ლაზარევი გიცხდებთ, რომ

20.

იმპერატორ პავლეს განკარგულებით, გიორგის გარდაცვალების შემდეგ მეფედ ეკურთხება მისი ძე დავით და ულოცავს უფლისწულს, თქვენც მიულოცეთ დავითს!

შეძახილები:

- გაუმარჯოს!
- დიდება მეფეს!
- ღმერთმა კეთილი ქმნას!
- დავით მეფეს დიდება!
- ღმერთმა ახაროს საქართველო დავითის მეფობაში!

ლაზარევი. **Лионидзе неправильно перевел: Его императорское величество Павел повелевает: после смерти Георгия тринадцатого никто не был назначен преемником Грузинского престола.**

ლიონიძე. ხალხო, ქართველნო, ლაზარევი მოგახსენებთ, რომა ლიონიძემ სწორად მოგითარგმნათო ყველაფერი: გიორგის გარდაცვალების გამო მეფედ ეკურთხებაო ძე მისი დავით, ისე, როგორც ეს გახლდათ დათქმული ორი დიდი მეფის მიერა და ახლავ მიულოცეთო. გაუმარჯოს საქართველოს მეფეს!

შეძახილები:

- საქართველოს მეფეს დიდება!
- გაუმარჯოს მეფე დავითს!
- ვინძლო, დავით მეოთხის გზა გაიმეოროს!
- იხარე ჭერო, მოკვდი მტერო!
- ჩვენს მეფეს გაუმარჯოს, ხალხო!
- გამარჯვება არ მოკლებოდეს!

ლაზარევი (ლიონიძეზე მიათითებს). **Арестовать!**

კაზაკები ლიონიძისაკენ გაემართებიან.

ლიონიძე. ხალხო, იმეცადინეთ მეფისთვის, გაუმარჯოს საქართველოს მეფეს! (გარბის).

შეძახილები:

- სოლომონ, თავს უშველე!
- რად მისდევენ მეფე ერეკლეს რჩეულს!
- ჩვენს მიწაზე გასაქცევად გვექცა საქმე!
- დროზე, დროზე, სოლომონ!
- რუსო, დადექ!
- ჩემს მიწა-წყალზე დამაყენე, რუსო!
- რუსო, დადექ!
- დადექ-მეთქი, რუსო!

დავითი (ლაზარევს). რას აკეთებთ, გენერალო, ხალხს რატომ აბრიყვებთ!

ლაზარევი (დავითს ხელს ჰქონავს). იქით, იქით! (კაზაკები დავითს, ხალხს, მსმენელებს ავიწროებენ -- ცდილობენ სცენიდან გაიყვანონ.)

დავითი. რა ხდება-მეთქი, მომახსენეთ, ხალხს რისთვის ერეკებით!

ლაზარევი. წესრიგს დაემორჩილე!

შეძახილები: -- უკან, უკან!

-- რას გვერჩით!

-- ჩვენს სახლთან დაგვაყენეთ!

დავითი. საქართველო? მეფე? საქართველოს სამეფო?

დაბნელება.

მეორე მოქმედება
სცენური გარემო უცვლელია. დავითი და ლიონიძე

21.

ლიონიძე. ერთი თვეა გიორგის სულმა ზეცაში დაივანა, მიცვალებული კვლავაც სიონის ტაძარში ასვენია. საქართველოს მეფედ შენა ხარ შეგულვებული. გაუძეს ქვეყანას!

დავითი. მამას ჩემსას დავით-გარეჯის მონასტერში ეწადა დასაფლავება, იქ კი ალექსანდრე - - ძმა მისი, ბაბა ხანის ჯარით დგას და ტფილისზე აპირებს გამოლაშქრებას. ლაზარევი თავს არიდებს მასთან შეტაკებას.

ლიონიძე. წავალ ალექსანდრესთან, შევევედრები, მეფე დაგვასაფლავებინოს.

დავითი. აკი გიორგი -- ლაზარევი არ იზამს. ბაბა ხანის ჯარით მოსული ბაზონიშვილი გუნებას უშლის.

ლიონიძე. საქართველოს მეფის დასაფლავებას ლაზარევს რატომ ვეკითხებით, ჭირისუფა-ლნი ჩვენა ვართ. ჩვენი მიცვალებული მიწას ჩვენ მივაბაროთ. ცოდვაა!

დავითი. დავით-გარეჯში უცხო ჯარი დგას-მეთქი!

ლიონიძე. თუ დავით-გარეჯში არ გამოდის, მცხეთას მივაბაროთ მიწას -- მამის გვერდით.

დავითი. მიცვალებულის ანდერძს მე ვერ შევცვლი, ლაზარევიც არ იზამს, არც -- კოვალენსკი.

ლიონიძე. არ მომწონს მეფედ კურთხევის შეყოვნება. ცუდი რამ უდევთ გულში.

დავითი. სოლომონ, იმპერატორმა ორჯერ მცნო ტახტის მემკვიდრედ.

ლიონიძე. დავით, გაფრთხილდი, სახელმწიფო ხელიდან გეცლება!

დავითი. ტახტის მემკვიდრედ მცნო-მეთქი, იმპერატორმა. მამა ბატონს მიწას მივაბარებთ და, მეფის კურთხევაც გაიმართება!

ლიონიძე. მას შემდეგ, რაც რუსთ ხელმწიფემ მემკვიდრედ გცნო, წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხანში ჩახვდნენ, ჩვენმა გაუტანლობამ, შენ-ჩემობამ.. რა მადანი ჩაუგდო ხელში. ხომ ვიყვავ მათთან ძმობის მომხრე, დღეს...

დავითი (ლიმილით აწყვეტინებს). აბა, რას ამბობ, სოლომონ, ამოდენა ზღვისა და ხმელე-თის მპყრობელი მეფე ამ ერთი მტკაველა ქართლ-კახეთისთვის პირს გაიტეხს? მე ვენდობი რუსთ იმპერატორსა.

ლიონიძე. მიცვალებულის ამდენ ხანს დაუმარხაობა, ეგრე უბრალოდ არ იქნება. დროა მივხვდეთ, დავით!

დავითი. ნუ შფოთავ, სოლომონ, -- ხვალ-ზეგ ჩემი მეფობის კურთხევაც მოვა, იყუჩე!

დაბნელება. ვახტანგი და ბერიკა.

ვახტანგი. აქ დაჯექ და წერე!

ბერიკა (ბატის ფრთას მოიმარჯვებს, ემზადება.) გისმენ, ბატონო!

ვახტანგი. ქართლისა და კახეთის მოსახლეო! ყოველ ქართველ მამულიშვილს, თავადს, აზნაურს, ეკლესიის მსახურს, თუ გლეხადშობილსა (ჩაფიქრდება.) არა, ეგ არ გვინდა. დაწერე: მამულიშვილნო!

ბერიკა (პათეტურად). ოპო, მამულიშვილნო, გისმენ!

ვახტანგი. მამულიშვილნო, მოვალენი ხართ მობრძანდეთ ერეკლე მეფის ძეთა შეკრებაზედ. მეფის ერეკლეს ნებითა და ერის ხმითა, მეფე საქართველოისა უნდა იყოს იულონ -- ჩვენი უფროსი ძმა. ვინც მოსვლას არ ინებებს, დაპკარგავს მეფის წყალობას და ჯილდოს. გაუფრთხილდით ცოლსა და შვილებს, სისხლიც არ დაიშუროთ იმისთვის, რომ მოხვიდეთ.

გთხოვთ, გირჩევთ და გიბრძანებთ კიდეც, მოხვიდეთ. ვიდრე ცოცხალი ვართ, ჩვენს განზ-?

რახვას არ გადავალოთ (ბერიკას.) დაწერე

ბერიკა. მერე როგორ, ბატონიშვილო!

ვახტანგი. ახალი ქაღალდიც მოიმარჯვე!

ბერიკა. ქარიც ვერ გამტაცებს...

ვახტანგი. სწერე: კავკასიის მთავარმართებელს თეოდორე კნორინგსა.

ბერიკა (მაყურებელს). გული მითქვამს, ჩემს ბატიფეხურს მალე იმპერატორიც წაიკითხავს! ვახტანგი (ფიქრობს). იყუჩე... ჰო, ასე. თქვენო აღმატებულებავ, ალბათ, არ გაგიკვირ-

22.

დებათ, თუ გაუწყებთ: ჩვენის ძმის -- გიორგის გარდაცვალება ერთობ მწუხარედ გვხდის.

ბერიკა (მაყურებელს). ზედ არ ეტყობა მწუხარება? სულ ცრემლი სდის!

ვახტანგი. არა, ეგ წაშალე, ასე დაიწყე: (კარნახობს.) თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ, მეფე ერეკლეს ძეთ: იულონს, ვახტანგს, ფარნაოზსა და მირიანს ჩვენის ძმის -- მეფე გიორგის გარდაცვალება ფრიად მწუხარედ გვხდის. დავით გარეჯს დამწუხრებული ზის ჩვენი ძმა -- ალექსანდრე. თავს მოვალედ ვრაცხთ გაუწყოთ: მეფის ერეკლეს ანდერძით გიორგის აღსრულების შემდეგ საქართველოს ტახტი ეკუთხის არა გიორგის უფროს შვილს -- დავითს, არამედ ერეკლეს მომდევნო ძეს-- იულონს, მერეთ თქვენს მონა-მორჩილს ვახტანგს, მერეთ -- მირიანს, მერეთ -- ალექსანდრეს, მერეთ კი ერეკლეს ნაბოლარა შვილს -- ფარნაოზს.

ბერიკა (წერს). რამდენი ჯაფა გარდახდენია-- განა მხოლოდ ახალგაზრდობაში, ის ცხონებული, სიჭარმაგეშიც ერთობ გამრჯე ყოფილა!

ვახტანგი. სწერე! შემდგომ ამისა, მეფობის გვირგვინი უნდა გადავიდეს გიორგის შვილებზედ: დავითზედ, მერეთ იოანეზედ, მერეთ ბაგრატზედ, მერეთ თეიმურაზზე და მერეთ -- მიხეილზედ.

ბერიკა (წერს). დიახ, ბატონო.

ვახტანგი (კარნახს განაგრძობს). რას გვიმზადებს დავითი ბიძებს -- მეფე ერეკლეს შვილებს? რუსების შემწეობით მამულიდან გაგყრითო, არღა ვიცით, ვით მოვიქცეთ, წინ აღვუდგეთ დავითსა, ძმისწულსა ჩვენსა, ვაითუ, დიდი იმპერატორის - პავლეს -- რისხვა დავიმსახუროთ. არ აღვუდგეთ და ვაითუ, მართლა გაგვაძევოს სამშობლოდანა.

ბერიკა (წერს). გაგვაძევოს სამშობლოდანა...

ვახტანგი. და თუ ერეკლეს ძეთაგან არ აირჩევთ მეფეს, ნურა ქართველი ნუ იქნება მეფე საქართველოსი. რუსეთმა ქართველი მეფის გარე მართოს საქართველო.

ბერიკა (წერს). ნურა ქართველი ნუ იქნება მეფე საქართველოსი, რუსეთმა ქართველი მეფის გარე მართოს საქართ... (ვახტანგს ახედავს) ჰა...

ვახტანგი. ჰო, ეგრე -- რუსეთის მეფე იყოს მმართველი საქართველოსი...

ბერიკა (მარჯვენა ხელს ააცახცახებს). ვაი, ვაი, მიშველე, ბატონიშვილო, მიშველე!

ვახტანგი. რა მოგდის, რა ჭირი გეტაკა!

ბერიკა (წამოხტება, აღგილზე ხტუნავს). სული მძვრება, ბატონიშვილო!

ვახტანგი (ყვირის). რა ჭირი გეტაკა-მეთქი!

ბერიკა. ქარებმა დამიარეს... აი, ნახე, ხელი როგორ გამიხმა, (ხელს ჯოხივით ატრიალებს.) შეხედე, შეხედე, ბატონიშვილო, რა დღეში ვარ.

ვახტანგი (გასძახის). ეი, მანდ ვინა ხართ! (შემოდის მსახური.) ბერიკას ხელში ქარმა დაუარა და ვეღარა წერს...

ბერიკა. ვაი, ვაი, ვაი!

ვახტანგი (მსახურს). წყალი ისე აადუღეთ, მისი ქაფი მზეს სწვდებოდეს. ახლა ვაი ვაის ყასიდად იძახის, ორივე ხელი მდუღარეში ჩააყოფინეთ და გამაგონეთ, როგორ იყვირებს.

ბერიკა. ეპეე! (გარბის).

დაბნელება.

დავითი (ავანსცენაზე გამოდის. გასძახის). ახლავ გაგზავნეთ სალხი, გადაკეტეთ ჩემი ბიძებისაკენ მიმავალი ყველა გზა! არავინ მივიდეს იქა! არავისა აქვს უფლება უარყოს მეფე გიორგისა და რუსთა იმპერატორის გადანაწყვეტი! ვინც თვისას არ დაიშლის, თუ მაინც ბიძაჩემებთან მისვლას მოიწადინებს, ცხენზე იჯდეს, ცხენი წაართვით, ურემზე იჯდეს, ურემი წაართვით, ტანთ გახადეთ, დედიშობილა ეახლოს!

გვესმის წმლების ჩახა-ჩუხი, ყვირილი:

-- რასა იქმთ, გონს მოდით!

23.

- ჩვენი მეფისთვის დავიხოცებით!
- გზა, გზა მოგვეცით!
- ასეთია ნება საქართველოს მეფე დავითისა!
- საქართველოს მეფე იულონია!
- ვა!
- შეჩერდით, ბრიყვნო!
- უკან, უკან დაიხით, შორს!

ბერიკა. ანჩისხატის ეკლესიაში წირვა რომ დაამთავრა, ლაზარევი მშვიდად დაადგა გზას და არც კი იცოდა, ეკლესიდან ვინ გამოჰყვა, ვინ მოსძახოდა.

დარეჯანი. გენერალო!

ლაზარევი (დედოფალს მოუბრუნდება). გისმენთ, დედოფალო!

დარეჯანი (ერთობ გოროზი ინტონაციით). წომ არა გვინდა, გიორგისა და დავითის ნებითა ხარ საქართველოში, ნუთუ, არ მოგეხსენება, რომ ჩემი ჭაპანის გამწევმა -- მეფე ერეკლემ, გაგიღო დარიალის კარი.

ლაზარევი. დედოფალო დარეჯან... თავად გეახლებოდით, რისთვის შეწუხებულხართ?

დარეჯანი. მოგეხსენებათ, თუ არა?

ლაზარევი. დიახ.

დარეჯანი. მერე? ეგ სიდანა ჩანს?

ლაზარევი. დიდად ვაფასებ მის უნარს განჭვრიტოს მომავალი.

დარეჯანი. ეგ დაფასება რაში ჩანს -- ნუთუ, იმაში, გიორგის-ძეს -- პირდაფჩენილ დავითს-შედგომისართ საყრდენად და გწადიათ, მარიამის დედოფლობა კვლავაც გააგრძელოთ. თუ აქამდე მეფის ცოლობით დედოფლობდა, ხვალიდან მეფის დედა იქნება?

ლაზარევი (ერთხანს დუმს). თუ გუმანი არ მღალატობს, თქეენ სხვა გზა იცით.

დარეჯანი. ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა!

ლაზარევი. საინტერესოა. (დუმილი.) გისმენთ!

დარეჯანი. როგორ გვინდა, აქ იმისთვის მოვედი, რომ ცნობის წადილი დაგიკმაყოფილო?

ლაზარევი. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

დარეჯანი. ჯერ ერთ კითხვაზე მინდა პასუხი!

ლაზარევი. წომ შეიძლება, ჩემი პასუხი სწორად ვერ გაიგოთ, ან არ მოგეწონოთ?

დარეჯანი. ალალად ნათქვამს, სწორად გავიგებ.

ლაზარევი. გისმენთ.

დარეჯანი. გწადიათ თუ არა, საქართველო იყოს რუსეთის ქვეშედრომი?

ლაზარევი. ამას მე არავინ მეკითხება, მე მხოლოდ გენერალი ვარ, დედოფალო.

დარეჯანი. სწორედ გენერალ ლაზარევს ვეკითხები: სწადია თუ არა მას, საქართველო იყოს რუსეთის ქვეშედრომი?

ლაზარევი (ერთხანს დუმს). აა... არა, არა მწადია და ნუ მკითხავთ, რატომ.

დარეჯანი. მე არავის ვეკითხები, რა ვთქვა, რა ვიკითხო და რა-- არა.

ლაზარევი (თავს მორჩილად დახრის). დიახ, დედოფალო!

დარეჯანი. რატომ არა გწადიათ, ქართლ-კახეთი იყოს რუსეთის ქვეშედრომი?

ლაზარევი. ჩემი პასუხი გულს გატკენთ.

დარეჯანი. იმაზე მეტად არა, რაც განგიზრახავთ—დავითის მეფობა და მარიამის დედა-დედოფლობა. პასუხი!

ლაზარევი (ფიქრობს) ის, ვინც მოყვასს არ ინდობს—მზად არის თავისი კეთილდღეობისთვის ყოველდღე გასწიროს, ჩვენს მიერ აქ დაღვრილ სისხლს, ჩვენს ამაგს უმალ დაივიწყებს. რისთვის უნდა ვღვაროთ აქ სისხლი?

დარეჯანი (**ლაზარევის** ზედაპირული პასუხი ღიმილს მოგვრის). ის თუ გწადიათ, საქართველოში მშვიდობა იყოს?

ლაზარევი. ეს ჩემი მოვალეობაა, ამისთვის ვარ აქ.

დარეჯანი. მაშ, ყური მიღეთ: თუ ქართლ-კახეთის მეფე დავითი იქნება, ჩემი შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, მშვიდი ძილის უფლებას არ მოგცემთ არც თქვენ, არც დავითს

24.

და არც -- ქვეყანას.

ლაზარევი. მომწონს თქვენი გულახდილობა, მეც ასევე გიპასუხებთ: ბაბა ხანის მეგობრე-ბისთვის -- ჩვენი მტრებისთვის, სახრჩობელა გვაქვს გამზადებული.

დარეჯანი. ვერაფერს ხვდები-მხოლოდ გენერალი ყოფილხარ და მეტი არაფერი.

ლაზარევი. მაგრამ, თუ დედოფალს აქვს გეგმა საქართველოში მშვიდობის დამყარებისა, შემიძლია დაუყოვნებლივ მოვახსენო სადაც ჯერ არს.

დარეჯანი. მოახსენეთ: ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთთან ბრძოლაზე ხელს აიღებს, თუ საქართველოს მეფე დედოფალი გახდება.

ლაზარევი. ვერ გავიგე.

დარეჯანი. თუ დავითს აკურთხებთ მეფედ, საქართველო ვერ მოისვენებს-- ალექსანდრე ბატონიშვილი არ დაცხება, მაგრამ, თუ მე დავჯდები ტახტზე, რომელიც ჩემს თანამეც-ხედრე მეფე ერეკლეს ეჭირა, ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებს.

ლაზარევი (გაკვირვებული). თქვენ!?

დარეჯანი. ისე, როგორც უკატერინა მეფობდა რუსეთს.

ლაზარევი (პაუზის შემდეგ). თქვენს სურვილს იქ გადავცემ, სადაც ჯერ არს.

დარეჯანი. რაც შეიძლება დაუყოვნებლივ! (მიდის. **ლაზარევის** დაუინებული მზერა მიაცილებს).

ბერიკა. მე ვიცი რაზე ფიქრობს გენერალი: რა ეშველება ქვეყანას, სადაც მეფობისათვის ამდენი ადამიანი იძრმვის? იფიქრე, გენერალო, იფიქრე, იქნებ, წამალიც ნახო! მაგრამ გენერალს ფიქრს ვინ დააცლის -- ტახტის აფორიაქებული მემკვიდრე მისკენ მოისწრაფვის.

დავითი (შემოდის). ხალხი ერთმანეთს დაერია, ძმა ძმას არ ინდობს, უნდა გვიშველო, გენერალო!

ლაზარევი. გზა რისთვის გადაქეტეთ?

დავითი. ხელმწიფე იმპერატორმა მე მცნო ტახტის მემკვიდრედ, სადაც ჩემს ხელთ არის.

ლაზარევი. ვიდრე იმპერატორის სიგელი არ მიგვიღია, ერთი ჩვეულებრივი ქართველი ხართ!

დავითი. მაგრამ ტახტის მემკვიდრედ ხომ ვარ დამტკიცებული!

ლაზარევი. დიახ.

დავითი. საქართველო ხომ არის რუსეთის ქვეშედრომი ქვეყანა?

ლაზარევი. ჯერ არა, ჯერ ასეთი მანიფესტი არ მიგვიღია.

დავითი. მფარველობას ხომ გვიწევთ? ეგ ხომ დამტკიცებულია, დაგვიფარეთ სისხლისღვრისაგან!

ლაზარევი. მთელი ქართლ-კახეთი მღელვარებს. ყველას თავისი მეფე უნდა, ყველგან ჯარს ვერ ჩავაყენებთ.

დავითი. ქალაქში წესრიგის დამყარება, ჯერ კიდევ მეფე-ბატონმა ბრძანა, მას შემდეგ უფრო აირია ტფლისიცა და დაბა-ქალაქებიც. მოგვეშველეთ!

ლაზარევი. ჩვენ რას გავხდებით, ერთმანეთის ჯიბრზე ქვეყნის დანგრევა გწადიათ, თავად უშველეთ საკუთარ თავს! (არხეინად მიდის)

დაბნელება.

ავანსცენაზე ვახტანგი და კოვალენსკი გამოდიან.

ვახტანგი. თქვენო აღმატებულებავ, უნდა გაუწყოთ ქართველი ხალხის ნება: დავითი ვერ იქნება საქართველოს მეფე.

კოვალენსკი. იმპერატორმა მეფისწული დავითი დაამტკიცა ტახტის მემკვიდრედ.

ვახტანგი. იმპერატორს ჭეშმარიტება არ მოახსენეს. მეფე ერეკლეს ანდერძით, საქართველოში მისმა ძეებმა უნდა იმეჯონ და არა შვილიშვილებმა.

კოვალენსკი. ჩემთვის კანონი იმპერატორის ნებაა.

25.

ვახტანგი. დავითის გამეფებით დიდი სისხლისღვრა დაიწყება...

კოვალენსკი. სისხლისღვრა უკვე დაიწყო!

ვახტანგი. ეგ არეული დროის ყაჩაღობაა და არაფერია იმასთან შედარებით, რაც ზვალიქნება! ხალხი დავითს არ ამეფებს. მეფე საქართველოსი უნდა იყოს იულონი!

კოვალენსკი. ეგ კიდევ ვინაა?!

ვახტანგი. ძე მეფე ერეკლესი. და თუ იულონი არა, არც არავინ! პირდაპირი მმართველობა რუსეთის მეფისა!

კოვალენსკი. ვერ გავიგე, რა მითხარით?

ვახტანგი. თუ იულონი არ იქნება მეფე ქართლ-კახეთისა, ქართველი მეფე არც გვწადია!

კოვალენსკი. ისეთი აფორიაქებული ხართ, ნათქვამი ვერ გავიგე, უფლისწულო, მშვიდად მითხარით.

ვახტანგი. გაუგებარს რას ვამბობ: თუ საქართველოს მეფე არ იქნება იულონი --ძე ერეკლე მეფისა, ნურც ნურა ქართველი დაიჭერს ქართლ-კახეთის ტახტსა.

კოვალენსკი. ეგ როგორ... მაშ... ქვეყანა... ქვეყანა ვინ უნდა მართოს...

ვახტანგი. დიდმა პავლემ -- რუსეთის იმპერატორმა პირდაპირ მართოს საქართველო.

კოვალენსკი (პაუზის შემდეგ). ჰოო... ასევე მოვახსენებ, იქ, სადაც ჯერ არს.

დაბნელება

ავანსცენაზე ჩქარი ნაბიჯით მოდის ლაზარევი.

ბერიკა (წამოეწევა). ახლავე უნდა გამომყვეთ, დედოფალს თქვენთან საუბარი სურს.

ლაზარევი (ირონით). რომელს მოვენატრე?

ბერიკა. გენერალს დედოფალი მარიამი ელოდება.

ლაზარევი. როცა მოვიცლი, ვინახულებ.

ბერიკა. ახლავე მომგვარეო.

ლაზარევი. ეგ მაგის სურვილია, მე კი ვამბობ, ვინახულებ-მეთქი. (მიდის, გზას ორი კახელი მოუჭრის).

პირველი. ყური გვიგდე, გენერალო! კახეთმა გამოგვგზავნა. კახეთის მოციქულნი ვართ.

ლაზარევი. გამარჯობათ, კახელებო!

მეორე. ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, კარგო კაცო!

ლაზარევი. რამ შეგაწუხათ, რამ ჩამოგიყვანათ, კახელებო!

პირველი. კახელებმა — თავადმაცა, აზნაურმაცა, ერმა, თუ ბერმა, მთელმა კახეთმა ინება ასე: მეფედ ჩვენ მხოლოდ დავითსა ვცნობთო. ქართლ-კახეთის მეფე დავითია, სხვა არცა გვდომებია, არც ვინდომებთო.

ლაზარევი. იულონი? ზოგი ამბობს, იულონი იყოს ჩვენი მეფეო, ერეკლეს ძე იულონი რატომ არ მოგწონთ?

მეორე. ერეკლეს ძეთ -- ვახტანგს, ფარნაოზს, მირიანს, ე მაგ იულონსაც სწადიათ საქართველო ირნის შაპის სამკალი გახადონ, მაგათი მმა -- ალექსანდრე ბაბა ხანის ჯარით ახლაც გარეჯას დგას და ტფილისზე გამოლაშქრებას აპირებს, რომ ქართლ-კახეთი ისევ აგარიანთ ეყმოს, ჩვენ კი დავითის თამადობით, რუსეთთან ძმობა გვწადია.

ლაზარევი. ვერ გავიგე—რა გწადიათ?

პირველი. ჩვენა დავითის მეფობა და რუსებთან ძმობა გვწადია, მაშა!

ლაზარევი. დარეჯანი? დარეჯან დედოფალი?

პირველი. რას ამბობ, ბატონო, ეგ ხო ოდიშის შვილია, აბა, სადა თქმულა ქართლ-კახეთის მეფე ოდიშელი იყოს!

მეორე. იქნებ, მაგაზე თვალიც დაგვეხუჭა, მაგრამა რა ალექსანდრე და რა -- დარეჯანი, გინდაც -- იულონი, ეგნი ყველანი ერთნი არიან -- ბაბა ხანისკენ უჭირავთ თვალი, ბაბა ხანით უდგათ სული!

ლაზარევი. ვვონებ, მართალნი ხართ. მე თქვენს მხარდამჭერად მიგულვეთ, თუ რამ დაგჭირდეთ, არ დაგერიდოთ...

26.

პირველი. ასე, გენერალო, ჩვენ დავითს შევფიცეთ და მისი ერთგულნი დავრჩებით.

ლაზარევი. ყველაფერს იქ მოგახსენებ, სადაც ჯერ არს.

პირველი. ისიც დასძინე, რომ დავითისათვის დავიხოცებით კიდეცა.

მეორე. დავითი, მხოლოდ დავითი! (გადიან)

ლაზარევი. იმასაც ვიტყვი, რომ თქვენი მხარე მიჭირავს. კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).

დაბნელება დედოფალი მარიამი სავარძელში ზის.

ლაზარევი (შემოდის). მოგესალმებით, დედოფალო!

მარიამი (ადგილიდან არ იძერის. ცივად). მოახლოება არ არის საჭირო, მანდვე იდექით!

ლაზარევი ასეთი გულთბილი მიღებისათვის, მაღლობას მოგახსენებთ და გისმენთ!

მარიამი. ჩემს სულგანათლებულ მეუღლესა და დავითს კოვალენსკიმ და თქვენ ჩამოუ-ტანეთ იმპერატორის სიგელი. ხომ არა ვცდები?

ლაზარევი. არა, არ სცდებით.

მარიამი. სიგელში ეწერა, დღესაც წერია, რომ საქართველოს მეფე იქნება დავითი.

ლაზარევი. ჭეშმარიტებას ბრძანებოთ.

მარიამი. ამიტომ გეკითხებით: დავითის მეფედ კურთხევა რისთვის ყოვნდება?

ლაზარევი. სანქტ-პეტერბურგიდან დასტურის ქაღალდი არ მოსულა.

მარიამი (ცივად). და ეს გაძლევთ უფლებას, დარეჯან დედოფალს მეფობა აღუქვათ?

(პაუზა) პასუხს რატომ არ მაძლევთ?

ლაზარევი. არაფერი მაქვს სათქმელი.

მარიამი. არაფერს იტყვით იმაზე, რაზეც მთელი ტფილისი ლაპარაკობს?

ლაზარევი. ტიფლისში საქმის კეთებას, ლაპარაკს ამჯობინებენ.

მარიამი. და რაც გითხარით, ჭორია? თქვენ დარეჯანს არ შეხვედრისართ?

ლაზარევი. დედოფალო, განაწესში არ მიწერია, არც ვთვლი თავს ვალდებულად, მოგახსენოთ, თუ ვის ვჰვდები და რისთვის.

მარიამი. პირველივე დღიდან არ მომეწონეთ, უამური კაცი ჩანხართ.

ლაზარევი. არც მიფიქრია თავს გაწონებდეთ.

მარიამი. მიბრძანდით და დაიმახსოვრეთ: თუ დარეჯანთან შეხვედრა დაგიდასტურდათ, საქართველოდან დაგითხოვთ.

ლაზარევი (იცინის). ახლა კი მე მომისმინეთ: არა მხოლოდ დედოფალ დარეჯანს შევხვდი და კვლავაც შევხვდები, იულონსაც, ალექსანდრესაც და თუ თქვენ რუს გენერალთან

საუბრის ტონს არ შეიცვლით...

მარიამი ზიზლით შესცემერის ლაზარევს.

ბერიკა. ჰოპ, დაიწყო! აი, ამ წუთიდან დაიწყო ის, რაც ორიოდ წელიწადში დამთავრდება. ახლა დედოფალი ყურადღებით აცქერდება გენერალს. ლაზარევმა არ იცის, რომ გამო-ხდება უძი და დედოფალი გულში ხანჯალს ჩასცემს. თუმცა, ეს ჯერ არც მარიამ დედო-ფალმა იცის.

მარიამი. მიბრძანდით!

დაბნელება.

ბერიკა (ავანსცენაზე საცეკვაო ილეთებით უვლის წრეს). რა ცეკვა-სიმღერა, რა სიხარული იყო ტფილის 1801 წლის 16 თებერვალს: ეზოებში, ქუჩა-შუკებში, დარბაზებში ისე ილხენდნენ, თითქოს გამოენის ხანს მესია უნდა შემოსულიყო ქალაქში. ასეთი სიხარული ტფილის დიდი ხანია არ ჰქონია -- დადგა ნანატრი დღე.

ლაზარევი (ავანსცენაზე გამოდის). გენერალ ლეიტენანტ კრონინგს: მოგახსენებთ, რომ 16 თებერვალს სიონის ტაძარში მოვიწვიეთ ქართველი დიდებულები -- სამეფო ოჯახის წევ-რები, სასულიერო პირნი. მიტროპოლიტმა არსენმა ჩაატარა ლიტურგია, შემდეგ მოწვე-

27.

ულო გავაცანით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის -- პავლე პირველის მანიფესტი საქართველოს რუსეთის იმპერიის მარადიულ ქვეშდრომად აღიარების შესახებ. მანიფესტი მიღებული იქნა დიდი სიხარულითა და მაღლიერების გრძნობით. ამის შემდეგ ანტონ კათალიკოსმა აღავლინა ხელმწიფე იმპერატორისა და მისი ოჯახის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ლოცვა. მეორე დღეს იგივე განმეორდა სომხურ -- ვანქის -- ეკლესიაში.

მორიგე მაიორი ტაგანოვი კი 24 კაზაკით დადიოდა ტიფლისის ქუჩებში და ხალხს რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად უკითხავდა მანიფესტის ტექსტს.

კოვალენსკი. ჩვენ მშვიდობას მოგიტანთ, ქართველებო, დღეიდან იცხოვრეთ მშვიდად, თქვენ გიცავთ ძლევამოსილი რუსეთი!

ბერიკა (ქუდს მაღლა შეაგდებს). იხარე ჭერო, მოკვდი მტერო! გაიხარეთ ქართველებო, მშვიდობა მოდის! (იატაკზე დაჯდება. თვალში ცრემლი გაკრთება.) მშვიდობა... მშვიდობა... რა ლირს ეს მშვიდობა?აპა, აღსასრულამდეო სოფლისა...აღსასრულამდეო სოფლისა...

თბილისში, მართლაც, დიდი დღესასწაულია. სასულიერო პირნი, თუ თავადობა, ხელოსანთა ამქრის წევრები, თუ კინტოები, ახალგაზრდობა, თუ მოფარფატე მოხუცები, ქუჩებში გამოსულან, ისმის მუსიკა. სიმღერები.

დაბნელება.

ბერიკა (ისევ ავანსცენაზე მოურთხამს ფეხი). აბა, მე რა ვქნა, აბა, რა ჩემი ბრალია! ისევ ცუდი ამბის მაცნე ვარ; სიონის ტაძარში მანიფესტის გამოცხადების დღიდან ერთი თვეც არ იყო გასული, პავლე პირველი თავისსავე ლოგინში ჩატკლეს. კიდევ ერთ თვეში პეტერბურგის ამ ნათელ დარბაზში სახელმწიფოს დიდი გვამები შეიკრიბნენ.

შუქი სცენაზე.

1801 წლის 15 აპრილი. სანკტ-პეტერბურგი. სავარძლებში სხედან ხანმორეული, დინჯად მოუბარი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრები: ზოლოტარევი, ევსენი და საბჭოს თავმჯდომარე. განცალკევებით -- გრაფი მუსინ-პუშკინი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

თავმჯდომარე. დიახ, აი, რისთვის შეგაწუხეთ... (ქალალდებში რაღაცას დაეძებს.) დიახ, ხელმწიფე იმპერატორი, თვითმპყრობელი რუსეთისა ალექსანდრე პირველი მოითხოვს კიდევ ერთხელ განვიხილოთ საქართველოს საკითხი.

ვსეუვი (უკმაყოფილოდ). უკვე მესამედ!

თავმჯდომარე (ხაზგასმულად). რუსეთს ახალი იმპერატორი ჰყავს.

მუსინ-პუშკინი. თქვენ ოთხი დღის წინათ კიდევ ერთხელ დაადგინეთ უკვე დადგენილი: საქართველო უნდა იყოს რუსეთის გუბერნია.

თავმჯდომარე (პაუზის შემდეგ). უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი უმაღლესობა, თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, არ არის კმაყოფილი. იმპერატორს რჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭომ არ გაითვალისწინა, თუ რა საფრთხე მოსდევს საქართველოს შემოერთებას. ხვალ საბჭოს დანარჩენ წევრებს უნდა მოვახსენოთ ჩვენი აზრი და გამოვიტანოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

მუსინ-პუშკინი. იქნებ, გვიბრძანოთ, რა არ მოსწონს იმპერატორს, რატომ გახდა აუცილებელი საკითხის ხელახლა -- მესამედ განხილვა?

თავმჯდომარე. დღეს რუსეთის ხელმწიფე გახლავთ ალექსანდრე პირველი. იგი მიიჩნევს, რომ... იმპერატორი შიშობს, რომ... გამოსთქვამს ეჭვს... საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადება ცოდვაა... საქართველო არის დიდი ისტორიის სამეფო, რატომ უნდა ჩავიდინოთ დანაშაული ტახტის მემკვიდრეთა მიმართ?..

მუსინ-პუშკინი. ჩვენ ხომ ვაღიარებთ ტახტის მემკვიდრეთა უფლებას!

28.

თავმჯდომარე. თავადო, (ქალალდს დაეძებს. კითხვა უჭირს), ვახტანგ... ეს ყოფილა ძე მეფისა ირაკ... ირაკლისა. იგი თხოულობს, საქართველოში არ იყოს მეფე, საქართველო მართოს რუსეთმა. ამასვე თხოულობენ (კითხულობს) მუხშა... მუხრან-ბატონი...

ჭავჭავაძე. ტახტის მემკვიდრედ აღიარებულია უფლისწული დავითი. იმპერატორმა პავლე პირველმა ორჯერ დაადასტურა თავისი ნება: საქართველოს მეფე იქნება უფლისწული დავითი ძე გიორგისა.

თავმჯდომარე. და საქართველოს სხვა წარჩინებულთა სურვილი არად ჩავაგდოთ? (პაუზა.) არა ვგონებ, საჭირო იყოს კიდევ ერთხელ შეხსენება: რუსეთს ახალი იმპერატორი -- ალექსანდრე პირველი განაგებს, რომელსაც არ მოსწონს ამ დიდი ისტორიის მქონე სამეფოს რუსეთის გუბერნიად ქცევა.

ჭავჭავაძე. დიდებულნო, დაამტკიცეთ საქართველოს მეფე, ისე როგორც ორი ხელმწიფე -- რუსეთისა და საქართველოს უზენაესნი შეთანხმდნენ და ცოდვა არავის დაედება. პირიქით -- ქართველი ხალხი კვლავ გაიხარებს.

თავმჯდომარე. რომელი? ვინ დავამტკიცოდ მეფედ? მეფობისათვის იბრძვის იულონი -- ძე ერეკლე მეფისა, კახეთი დავითს აცხადებს მეფედ, ქართლი -- იულონს. საქართველოს მეფობა სურს ერეკლეს ქვრივს -- დარეჯანს. რომელიც არ უნდა ვამჯობინოთ, რომლის ღირსებებიც არ უნდა გავითვალისწინოთ, გვჯერა სისხლისღვრა გარდაუვალია, რადგან თქვენში...

მუსინ-პუშკინი (აწყვეტინებს). თუ ჩვენ შეგვიძლია ირანისაგან დავიცვათ საქართველო, დავიცვათ ისინი ქართველებისაგანაც!

ევსევი. საქართველოს რუსეთის ქვეშდრომად მიღება ათას თავსატებს გაგვიჩნის. ეს ის ტვირთია, რომლის ტარება ჩვენს იმპერიას არ სჭირდება. იცით, თუ არა თქვენ, რა ხდება საქართველოში? იქ სამეფო ოჯახის ყოველი წევრი ერთმანეთს ებრძვის, ქვეყანა შინა ომის პირასაა, ქართველები ადამიანებით ვაჭრობენ -- თავთავიანთ მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, შვილებსაც კი უცხოელებზე ჰყიდიან.

ზოლოტარევი. ეს ცნობა გუშინ მეც მომაწოდეს. გამოდის, ჩვენ უნდა დავიწყოთ ამ ადამიანების გარდაქმნა. გავხადოთ ჰუმანურნი და კანონმორჩილნი. რამდენი დრო, ბრძოლა დასჭირდება ამას? რა იქნება შედეგი? გამოცდილება გვასწავლის: კანონიერებისაკენ მომწოდებელი არ უყვართ -- ისინი შეგვიძულებები ჩვენ.

ჭავჭავაძე. ნება მომეცით, მოგახსენოთ: ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, ამაო შიშია. რაც შეეხება სიძულვილს, ეს არ მოხდება!

ევსევი. ეს არ მოხდება უახლოეს წლებში, იმიტომ რომ ქართველებს უჭირთ. დღეს ძალიან მძიმე დღეში არიან, მაგრამ ხვალ, როცა ჩვენ მათ აღვზრდით, ვასწავლით, სულს მოითქვამენ, მოღონიერდებიან, გაძლიერდებიან? მე ვიყავი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთების მომხრე, მაგრამ გუშინ ისეთი ღოკუმენტები გადმომცეს... მაგათმა წინა მეფემ ეკატერინეს უდალატა: ოტომანებთან მაშინ დასდო ხელშეკრულება, როცა ჩვენ მათთან ომი გვქონდა. რისთვის გვჭირდება ასეთი ქვეყნის შემოერთება? რას მისცემს ეს რუსეთს, გარდა სახელის გატეხვისა და ზედმეტი ხარჯისა?

ზოლოტარევი. მეც გამიჩნდა კითხვა: რატომ, რისთვის?

თავმჯდომარე. როგორც ჩანს, ქართველები ვერ ასცდებიან ძმათა ომს. იმათ ომში რუსი ჯარისკაცი რატომ დაიღუპოს?.. (შემოდის ოფიცერი. თავმჯდომარეს რაღაცას ჩასჩურებებს, თავმჯდომარე თავს უკრავს.) ბატონებო, თქვენთვის ცნობილია, რომ იმპერატორმა ჩამოაყალიბა არაოფიციალური კომიტეტი. იმპერატორის დავალებით ჩვენთან მობრძანდა გრაფი როსტფინი.

როსტოფინი (შემოდის, ლაპარაკობს ხმადაბლა, მბრძანებლური ტონით). მოგესალმებით, დრო ძალიან ცოტა მაქვს. მოვედი, რათა გაუწყოთ: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა უაღრესი ზიზლით ეკიდება რუსეთის გამგებლობაში ქართლ-კახეთის სამეფოს სამარადისოდ შემოერთებას. ამას გაუწყებთ, რათა გაითვალისწინოთ გადაწყვეტილების გამოტანისას. თქვენი გადაწყვეტილება იმპერატორის სურვილს უნდა ითვალისწინებდეს.

ევსევი. მე უკვე ვიკითხე რატომ, რისთვის გვჭირდება მეთქი ასეთი მსხვერპლი.

თავმჯდომარე. დიახ, გიდასტურებთ.

ზოლოტარევი. და მე დავეთანხმდე.

თავმჯდომარე. თქვენც გიდასტურებთ. რაღა დაგვრჩა? ხვალ საბჭოს მოვახსენოთ ჩვენი აზრი.

ჭავჭავაძე. მე გთხოვთ იმპერატორს ისიც მოახსენოთ, რომ ქართველი ხალხი რუსეთს დიად და სამართლიან ქვეყანად ისახავს. თქვენი ასეთი გადაწყვეტილება არ დაადასტურებს ჩემი ხალხის წარმოდგენას რუსეთზე.

უხერხული დუმილი.

მუსინ-პუშკინი. რახან მომიწვიეთ, ვალდებული ხართ გაითვალისწინოთ ჩემი აზრი: რუსეთმა საქართველო აუცილებლად უნდა შეიერთოს...

თავმჯდომარე. აუცილებლად?

მუსინ-პუშკინი (ხაზგასმით). დიახ, აუცილებლად.

ევსევი (აწყვეტინებს). და მათს შინაომს რუსი ჯარისკაცი შეეწიროს?

მუსინ-პუშკინი. ცხადია, უნდა შეეწიროს--იმპერია უმსხვერპლოდ არ იქმნება. მაგ ქვეყანაზე უფლება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა რუსები იქ სისხლს დაღვრიან. ის სისხლი საქართველის მოწმობა გახდება. დიახ, საქართველო აუცილებლად უნდა შევიერთოთ. პირველი და მთავარი მიზანი: მართლმადიდებელი ერი გადავარჩინოთ სისხლისღვრას (როსტოვჩინს) თქვენ ვალდებული ხართ იმპერატორს მოახსენოთ და თუ თქვენ არ მოახსენებთ, მე ისევ მივწერ წერილს.

როსტოვჩინი (ირონით). თქვენს წერილებს პავლე პირველი კითხულობდა.

მუსინ-პუშკინი (ცხარედ). თქვენ არც მოგწერთ! ბატონებო, აღა მაჰმად ხანმა ტიფლისი განადგურა იმის გამო, რომ ერეკლე მეფემ რუსეთს მოაპყრო მზერა. ყველამ შევიტყვეთ, როგორ იზემა ხალხმა რუსეთის ქვეშედრომად მიღების მანიფესტი. უსაზღვრო იყო მათი სიხარული. დღეს თქვენ გინდათ, გააუქმოთ ეს მანიფესტი. ის, რასაც თქვენ აპირებთ, ქართველი ხალხის გაწირვას ნიშნავს -- საქართველოდან რუსეთის ჯარის გამოს-ვლიდან ერთ თვეში ირანი შურს იძიებს საქართველოზე, გაანადგურებს, მოსპობს ამ ქვეყანას, ხალხს. თქვენ გინდათ მხეცს მიუგდოთ ქართველი ხალხი და ეს არის ჩემი ქვეყნის სიდიადე?!

დუმილი

თავმჯდომარე. საქართველომ უღალატა სპარსეთს, უღალატა გეორგიევსკის ტრაქტატს. ხომ შეიძლება გვიღალატონ ჩვენც?

მუსინ-პუშკინი. მე ვხედავ, ქართველი ხალხის ბედი არ გაღელვებთ. ამის გამო ბრალს ვერ დაგდებთ, მაგრამ დაღება დრო და პასუხს მოგთხოვენ იმის გამო, რომ ამ უაზრო გადაწყვეტილებით აშიშვლებთ რუსეთის სამხრეთის საზღვრებს და უარს ამბობთ მოთოკოთ კავკასიის მთიელები.

თავმჯდომარე. ეგ როგორ!

მუსინ-პუშკინი. თუ ჩვენი ჯარი საქართველოს დატოვებს, კავკასიის ურჩ და ველურ მთიელებს ჩვენ ვერასოდეს დავამარცხებთ.

თავმჯდომარე. გრაფ, მეტისმეტად გადაჭარბებული ხომ არ არის საქართველოზე თქვენი წარმოდგენა?

მუსინ-პუშკინი. გადაჭარბებულად მოგეჩვენებათ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება: მხოლოდ ოტომანთა იმპერიის აგენტს შეუძლია ხელმწიფე იმპერატორს ურჩიოს პავლე პირველის ტრაქტატზე უარისთქმა! მე იჭვი მაქვს, რომ თქვენს

შორის ოსმალეთის აგენტია.

თავმჯდომარე (გაცხარებული). რას ამბობთ, გრაფ!

მუსინ-პუშკინი (თავმჯდომარეს). იქნებ, თქვენც! და თუ აგენტები არა ხართ, თქვენი წინდაუხედაობით ოტომანთა იმპერიის საქმეს აკეთებთ!

ევსევი. ეს რამ გაფიქრებინათ!

ზოლოტარევი. ეს შეურაცხყოფაა!

თავმჯდომარე. აჩქარდით, გრაფ!

როსტოფჩინი. მე გთხოვთ დააცალოთ! (მუსინ-პუშკინს) ყურადღებით გისმენთ!

მუსინ-პუშკინი. რომელიმე თქვენგანს თუ უფიქრია, რა ნაბიჯს გადადგამს ჩვენგან მიტოვებული საქართველო, რას მოიმოქმედებს თავის გადასარჩენად? (პაუზა) ვინ მიპასუხებს? ამაზე არ გიფიქრიათ. იმისათვის რომ ირანელებისაგან თავი დაიცვას, საქართველო ოტომანთა იმპერიის ქვეშედრომობას მოითხოვს. იგი გახდება ოტომანთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი და იცით, რა მოჰყება ამას? არა, არ იცით, თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ: თუ საქართველო ოტომანთა იმპერიის ქვეშედრომი გახდება, მშვიდობით რუსეთის სამხრეთო, მშვიდობით, კავკასიაგ!

თავმჯდომარე. ეგ საიდან მოიტანეთ!

მუსინ-პუშკინი. ეს კიდევ არაფერი, თქვენი ასეთი უაზრო გადაწყვეტილება, ხვალ რუსეთს დააკარგვინებს ყირიმს -- საქართველოში დაბანაკებულ ოსმალეთს ყირიმისათვის ბრძოლა გაუადვილდება. დღეს თქვენ ქრისტიანული საქართველოს დაცვაზე კი არ ამბობთ უარს, დღეს თქვენ აერთიანებთ ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმებს, ყირიმის თათრებს და ოტომანთა იმპერიას, აერთიანებთ რუსეთის წინააღმდეგ. მეტსაც გატყვით...

როსტოფჩინი (აწყვეტინებს). შესვენება, გამოაცხადეთ შესვენება ერთი საათით! (გარბის.)

დაბნელება. იგივე დარბაზი რამდენიმე საათის შემდეგ

ზოლოტარევი (თავმჯდომარეს). იქნებ, გრაფ როსტოფჩინთან ვინმე გაგვეგზავნა?

ევსევი. თითქმის სამი საათია წავიდა.

თავმჯდომარე. ქვემოთ, მორიგე ოფიცერს ძალიან გემრიელი ბლინები დაუცხვია. გნებავთ, წითელი ხიზილალით, გნებავთ, მურაბით...

ზოლოტარევი. მზე ჩადის.

თავმჯდომარე. მოთმინება, ბატონებო, მოთმინება! (მუსინ-პუშკინს) თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ქართველ ხალხს ძალიან სწალია რუსეთის ქვეშედრომობა?

მუსინ-პუშკინი. ლოცვა გმართებთ, იმის გამო, რომ ქართველები ძალიან ერთგულებენ ქრისტიანობას.

თავმჯდომარე. საინტერესოა! (ჭავჭავაძეს) თავადო, მართალია, რომ საქართველოში სექტემბერშიც მზე აცხუნებს?

ჭავჭავაძე ოქტომბერშიც, ნოემბერშიც, მოწყალეო ხელმწიფებებ!

თავმჯდომარე. კი, მაგრამ ეს როგორ, ეს როგორ შეიძლება!

როსტოფჩინი (შემოდის). გთხოვთ დაგვიანება მომიტევოთ.

თავმჯდომარე. მობრძანდით, გელოდებით. საბჭოს წევრებს ვთხოვ დაიკავონ ადგილები. სხდომას განვაგრძობთ. გთხოვთ!

საბჭოს წევრები ადგილებს იკავებენ.

როსტოფჩინი. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი ხელმძღვანელობს ერთადერთი

პრინციპით: ქართველ ხალხს ძლიერ სწადია რუსეთის ქვეშედრომობა, იმპერატორისათვის უმთავრესია ქართველი ხალხის მშვიდობა, კეთილდღეობა. ამიტომ ხელმწიფე იმპერატორი კეთილინებებს გამოთქვას კმაყოფილება, თუ სახელმწიფო საბჭო ძალაში დატოვებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებას.

ჭავჭავაძე (პირჯვარს იწერს). მადლობა ღმერთს!

31.

როსტოფჩინი. იმის გამო, რომ იმპერატორი ყველაფერზე მაღლა აყენებს ქართველი ხალხის სურვილს, დავადგინოთ: პირველი: საქართველოში დარჩეს რუსეთის ჯარი. მეორე: საქართველო დავყოთ შვიდ უეზდად და დავამყაროთ რუსეთის დროებითი პირდაპირი მმართველობა. მესამე: საქართველოში გავგზავნოთ ისეთი გუბერნატორი, რომელიც შესძლებს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობას.

ჭავჭავაძე. კი, მაგრამ... მეფე? ქართველი მეფე?

როსტოფჩინი. საქართველოში იქნება რუსეთის პირდაპირი მმართველობა, ამას თხოულობენ საქართველოს წარჩინებულნი.

ჭავჭავაძე. საქართველოს სამეფო? საქართველოს ათსაუკუნოვანი სამეფო? სამეფო აღარ იქნება? სამეფო გაუქმდება?

როსტოფჩინი. თავადო, მე გასაგებად ვთქვი: საქართველოში დამყარდება რუსეთის, დროებითი (ხაზგასმით) დროებითი, პირდაპირი მმართველობა. საქართველოში რუსეთის ხელისუფლებას აღასრულებს პეტერბურგიდან გაგზავნილი გუბერნატორი. თქვენ არა გაქვთ უკმაყოფილების საბაბი.

თავმჯდომარე. ეს არის ბრძნული გადაწყვეტილება -- ქართველ ხალხს ჯერ ვასწავლოთ, თაობები აღვზარდოთ, მერე კი... მერე დავფიქრდეთ.

ჭავჭავაძე (გატეხილი). არა, რასაკვირველია, არა! სახელმწიფო საბჭოს ძვირფასო წევრებო, საქართველოს სამეფოს ბრძოლა უხდებოდა ბიზანტიასთან, მონღოლებთან, ოსმალებთან, ირანთან. გვიპყრობდნენ კიდეც, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფო, ქართული ეკლესია, არასოდეს გაუუქმებიათ, ჩვენ მუდამ გვყავდა ჩვენი მეფე... თუ რუსეთის ჯარი ხვალ საქართველოდან გავა, ირანელები შემოგვესევიან, მაგრამ საქართველოს სამეფო ტახტს არ გააუქმებენ...

როსტოფჩინი (აწყვეტინებს). ხელმწიფე იმპერატორმა ეს გადაწყვეტილება ქართველი ხალხის სიბრალულით მიიღო. ეს არის ქართველი ხალხის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება და არ შეიცვლება.

ჭავჭავაძე. თქვენ დღეს ომი გამოუცხადეთ ქართველ ხალხს-- მას უყვარს თავისი მეფე! მე, საქართველოს ელჩე რუსეთში, არ შემიძლია ქვეყანას სამეფო ტახტის გაუქმება ვაუწყო... (ყელში რაღაც მოაწვება.) ნუ დამძრახავთ... მე ვტოვებ სხდომას... ეს ომი.. დღეს იწყება და არავინ იცის, როდის დამთავრდება, აღბათ, არც არასოდეს... ეს დიდი შეცდომაა...

აუჩქარებლად, მძიმე ნაბიჯებით მიდის. ხანგრძლივი დუმილი.

დაბნელება.

ბერიკა. კოვალენსკი დილაადრიან ეწვია ვახტანგის. რა მოუტანა კოვალენსკიმ მეფე ერეკლეს ძეს?

კოვალენსკი. მინდა გამოვხატო აღფრთოვანება, თავადო! რუსეთის სამეფო კარი აღიარებს თქვენს შორსმჭვრეტელობას, (ვახტანგი უნდობლად, იჭვით შესცეკრის კოვალენსკის.) პირველად თქვენ გააცხადეთ ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება, ეცხოვრა რუსეთის იმპერატორის მზის ქვეშ, თქვენ მოიწადინეთ საქართველო პირდაპირ ემართა რუსეთის იმპერატორს (ვახტანგი თავს ცივად აქნევს.) სამეფო კარი დიდად აფასებს თქვენს გამჭრი-

ახობას -- ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა თქვენ გამონახეთ. (ვახტანგი ამოიოხრებს.) სულ რაღაც ორი-სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის ნაწილი გახდა და ქვეყანამ ამოისუნთქა. დამშვიდდა საქართველო, მრავლდება, მოსავალი მოჰყავს... ვახტანგი (ცივად). რისთვის მობრძანებულ ხართ?!

კოვალენსკი. როგორც გითხარით, რუსეთის საიმპერატორო კარი დიდად აფასებს თქვენს შორს მჭვრეტელობას, რუსეთისადმი მევობრულ დამოკიდებულებას. (ვახტანგი ისევ ამოიოხრებს.) ამიტომ იმპერატორმა სარატოვში გამოგიყოთ ადგილ-მამული. ამიერიდან იქ იცხოვ-რებთ.

ვახტანგი (შეძრწუნებული). რას ამბობთ, მინისტრო!

კოვალენსკი. ოჯახი შეამზადეთ!

32.

ვახტანგი. საქართველოს მეფისწულს სარატოვში რა ესაქმება!

კოვალენსკი. საქართველოს სამეფო აღარ არსებობს, ცხადია, არც მეფისწული არსებობს, ხოლო თქვენ რუსეთის მეფე დამსახურებისათვის ადგილ-მამულს გჩუქნით.

ვახტანგი. საქართველოდან მასახლებთ?

კოვალენსკი (პაუზის შემდეგ). ხვალ დილიდან საქართველოში ცხოვრება გეკრძალებათ. დუმილი.

ვახტანგი. ქართველმა ხალხმა არ დამსაჯა იმისთვის, რაც მე მას ვუყავ, სასჯელით რუსეთის იმპერატორმა დამასაჩუქრა.

კოვალენსკი. მზის ამოსვლამდე გზას უნდა დაადგეთ. კაზაკების რაზმი გაგაცილებთ. მოემზადეთ!

ვახტანგი (მიწაზე დაეშვება. თავჩაქინდრული ზის. თითქმის თავისთვის). სამშობლოს სიყვარული საკმარისი არ ყოფილა. კიდევ რაღაც სხვა... კიდევ რაღაც სხვა...

კოვალენსკი. დაყოვნებას არ გირჩევ!

გადის. დაბნელება.

დავითი და ლაზარევი.

ბერიკა. უგდეთ ყური, კარგად უსმინეთ! გენერალი ლაზარევი ესაუბრება დავითს, კაცს, რომელსაც საქართველოს მომავალ მეფედ აცხადებდნენ.

დავითი. არწივი ტყვეობას ვერ უძლებს, გენერალ!

ლაზარევი (იცინის). რომელ ტყვეობაზე ლაპარაკობ, დავით, ხომ ხედავ, სიკეთე როგორ შეიფერა საქართველომ. ლეგები ვეღარ დათარეშობენ, ხალხი მრავლდება, მოსავალი მოჰყავს, ეზო-მამულს მიხედა, ახალგაზრდები რუსეთის უნივერსიტეტებს ეტანებიან, განათლებულნი დაუბრუნდებიან სამშობლოს. 10-20 წელიწადში საქართველო სულ სხვა ქვეყანა იქნება!

დავითი. და მანც ტყვე! არწივები კი ტყვეობაში ვერ ძლებენ!

ლაზარევი. ნამდვილ არწივს, ვერც დაატყვევებ, თავადო!

დავითი (უსწორებს). უფლისწულო!

ლაზარევი (იცინის). დაივიწყეთ, უფლისწულობა წარსულია -- შენ რუსეთის ჩვეულებრივი მოქალაქე ხარ და შუაგულ რუსეთში იცხოვრებ -- იმპერატორმა ადგილ-მამული როსტოვის გუბერნიაში გაჩუქა.

დავითი. რუსეთში რა მინდა -- ჩემი სამშობლო აქ არის!

ლაზარევი. შენი სამშობლო რუსეთის იმპერია!

დავითი. საქართველოს უფლისწულს ჩემი ქვეყნიდან მაძევებთ?

ლაზარევი. ცხარე სიტყვებით, შეძახილებით ხალხს აბრიყვებთ, იმას კი არ ეუბნებით, მაგ

თქვენის უსაქმურობით, ქიშპით, კანონის სიძულვილით, როგორ დააჩაჩანაკეთ ქვეყანა. ჯერ გემუდარებოდით, გვიხსენით, გადაგვარჩინეთო, ახლა კი, რუსებმა სამეფო წაგვართვესო, ხალხს გვიმხედრებთ. ამ საბრალო, მიმნდობ ხალხს კი სჯერა თქვენი. მზად არის თავიც გასწიროს. იმპერიის უშიშროებისათვის სჯობს რუსეთში იცხოვროთ!

დავითი. ახლავე გადათქვი, რაც წამოროშე, თორემ გულს გაგიაბდ, ფლიდო!

(ხანჯალს აშიშვლებს.) სამეფოს მართმევ და მამუნათებ კიდეც!

ლაზარევი. ეგ სამეფო შენ შემომაჩეჩე!

დავითი. ყაჩალო, არამზადავ! (გაექანება, რომ ხანჯალი ჩასცხოს, კაზაკები გადაუდგებიან, ხანჯალს წაართმევენ).

ლაზარევი. მუხლებზე, მუხლებზე დაეცეს! (კაზაკები დავითს მუხლებზე დასცემენ.)

ანასტასია (შემორბის, დავითს მივარდება, ეხვევა). უფლისაწულო!

ლაზარევი. თქვენ აქ რა გინდათ, გრაფინია!

ანასტასია (ლაზარევს ყურადღებას არ მიაქცევს. დავითს წამოაყენებს). მე შენთანა ვარ, უფლისწულო, მეც შენთან ერთად მოვდივარ!

ლაზარევი (გაფრთხილების ინტონაციით). ეგ ამბავი თქვენ არ გეხებათ--საქართველოს

33.

სამეფო ოჯახის წევრებს ვასახ...

ანასტასია (აწყვეტინებს). ყველაფერს თავდაყირა აყენებთ—რუსებს საქართველოში ასახლებთ, ქართველებს-- რუსეთში!

ლაზარევი (ერთხანს უხმოდ, გამქირდავად შესცერის ნასტასიას. მისი გამომეტყველებიდან ჩანს, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვის თქმას აპირებს. მაგრამ პირზე მომდგარ სიტყვას, კბილებით დაიჭირს). დაგვტოვეთ, გრაფინია!

ანასტასია. არა გაქვთ უფლისწულის ოჯახში ყოფნა ამიკრძალოთ!

ლაზარევი. არც ქართველი ხართ და არც-- სამეფო ოჯახის წევრი, დაგვტოვეთ!

ანასტასია. საქართველოში ჩემი ძმა--გრაფი ორლოვია გადმოასახლებული, მე თავისუფალი ვარ და საღაც მომესურვება, იქ მივალ!

ლაზარევი (ჯარისკაცებს გასძახის). გრაფინია ხელს გვიშლის, მიხედეთ!

ჯარისკაცები ნასტასიას მივარდებიან. დავითი ამაოდ ცდილობს

ჯარისკაცებს თავი დააღწიოს-- ნასტასიას მიეშველოს.

ანასტასია. რუსეთის მოლალატენო!

დაბნელება.

როცა შუქი აინთება, ბერიკას ვხედავთ. ავანსცენაზე ჩამომჯდარა. დარბაზს ისე შესცერის, თითქოს ყოველი მაყურებლის გამომეტყველების შესწავლა განუზრახავს.

ბერიკა (ამოიოხრებს). ეეეჲ, ბრუნავს წუთისოფელი და ცხოვრების ჩარხს ხან წაღმა ატრიალებს ხანაც-- უკუღმა. აი, საქართველოს სამეფოს ჩარხი კი რა ხანია, წაღმა არ დატრიალებულა... დავითი, ძე მეფე გიორგისა, უფლისწული იატაკზე გაკოჭილი გდია. ნასტა, ანასტასია... გააძევეს (წამოდგება. ავანსცენაზე მიმოდის.) გუშინ კავკასიის მთავარმმართებელმა კნორინგმა გენერალ ლაზარევს მოსწერა: მსურს ხელმწიფე იმპერატორს გაუწყო, რომ მისი ნება წარმატებით შეასრულეთ—საქართველოში სამეფო ოჯახის აღარცერთი წევრი აღარ ცხოვრობს—ყველა გასახლებულია. ხომ ასეა? „დიახ, თუ მაგ წერილს ზეგ გაგზავნით, მის უდიდებულესობას ჭეშმარიტებას მოახსენები“ უპასუხა

ლაზარევმა. ახლა კი დედოფლისაკენ ისწრაფვის და არ იცის, რომ უკანასკნელ ნაბიჯებს დგამს. ნუ, გენერალო, ასე ნუ ჩქარობ!

ლაზარევი (შედგება, ბერიკას აცქერდება). რა მითხარით?

ბერიკა. ნუ ჩქარობ მეთქი, მეტი არაფერი.

ლაზარევი. ხდება რაიმე?

ბერიკა. აუჩქარებლობა სჯობს აჩქარებას (მაყურებელს მოუბრუნდება.) მარკოზაშვილმა დედოფალ მარიამს უკვე უამბო, თუ როგორ გაკოჭეს მისი შვილი—დავითი (ლაზარევს.) მიზანთან ის უფრო მიდის, ვინც არ ჩქარობს.

ლაზარევი. რა უცნაური ხალხი ხართ: სახელმწიფოს ყელი გამოღადრეთ, დასამარეთ და ჩვენ ჭკუას გვასწავლით.

ბერიკა (გულიანად იცინის, სიცილი გაუგრძელდებაკიდეც). როდის გაჩნდით ქვეყანაზე?

ჯერ კიდევ ბალღები ხართ იმისთვის, რომ ამ ხალხს გაუგოთ: ეგ ყელგამოღადრული, დასამარებული სახელმწიფო ათასჯერ აგატკივებთ თავს!

ლაზარევი რაღაცას ჩაიბურტყუნებს, უნდა ვიგარაუდოთ,

რომ ბერიკას შეუკურთხებს და მიდის.

აპა, გენერალმა მარიამის სასახლეში შეაბიჯა. მორჩა, ბოლო ნაბიჯებიც გადადგა!

მარიამი. ვიდრე არ ბრძანებოთ, ჩემს შვილს ხელ-ფეხი შეუხსნან და ისე მოექცნენ, როგორც უფლისწულს ეკადრება, თქვენი ხილვის სურვილი არა მაქვს და არც მექნება,

ლაზარევი. აღარც სამეფო არსებობს, აღარც მეფე, აღარც—უფლისწული. ქალაქი სასწრაფოდ უნდა დატოვოთ—დიდმა მეფემ მამული რიაზანის გუბერნიაში გიბოძათ.

მარიამი. არსად წასვლას არ ვაპირებ-- ჩემი სამშობლო აქ არის. მამულები სამყოფი მაქვს. უბრძანეთ ჩემს შვილს ხელ-ფეხი შეხსნან.

ლაზარევი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარატოვის გუბერნიაში ჩავა. მამული იქ ებოძა.

34.

მარიამი. გენერალო, ალბათ, იცით, უნდა იცოდეთ: ადამიანი ცისქეშეთში ორი რამით ხარობს: სამშობლო და შთამომავლობა.

ლაზარევი. იჩქარეთ, ძალიან ცოტა დრო დაგრჩათ!

მარიამი (გარინდებული შესცქერის გენერალს. ფიქრობს). დიდი წინაპარი მყოლია—სეხნია ციციშვილი—მტრის სიძულვილითა და სამშობლოს სიყვარულით გამორჩეული კაცი. ჩვენს მამულს აგარის ნაშიერნი შემოსევიან და სეხნია ციციშვილის ვაჟი—ბეხა ცხენის კუდზე გამოუბამთ—ტყვედ წაუყვანიათ. სეხნია ციციშვილი აგარის ნაშიერს კარავში ხლებია:

ბეხამ გვარი უნდა გამიგრძელოს, გაუშვი—გაანთავისუფლე, მე ვიქნები შენი ტყვე და მონა-მორჩილი—ყველა ბრძანებას უკეთ შეგისრულებ, ვიდრე ჩემი ჯერაც უმწიფარი ვაჟიო.

ლაზარევი. დრო, დრო გარბის-მეთქი, დრო არ იცდის!

მარიამი. მტერი ხარ ჩემი ხალხის, მბულხარ, მაგრამ მძლეველი ხარ და სხვა რაღა დამრჩენია—უნდა გმორჩილებდეო.

ლაზარევი. ქალაქი დღესვე უნდა დასტოვოთ!

მარიამი. პარველსავე დღიდან არ მომეწონე, მბულხარ, როგორც სბულთ ყოველი მტერი, მაგრამ გემორჩილები და გთხოვ: ჩემს შვილს ხელ-ფეხი შეხსნი, ათავისუფლე!

ლაზარევი. პასუხი უკვე მოგახსნეთ.

მარიამი(პაუზა, რომლის განმავლობაშიც მარიამი დაუინებით შეჰყურებს ლაზარევს). ისღა დამრჩენია, ბოლომდე გიამბო, თუ რა მოიმოქმედა ჩემმა დიდმა წინაპარმა—სეხნია ციციშვილმა.

ლაზარევი. სალდათებს ვუბრძანებ: უცებ შეჰყრავენ ბარგს!

მარიამი. ახლავე, ახლავე. სეხნია მტერსა და მძლეველს აუჩქარებლად მიუახლოვდა, ისე როგორც მე გიახლოვდები შენ, ღიმილითაც, ისევე, როგორც მე გიღიმი შენ და ძლიერ ჩაჰერა გულში ხანჯალი (მარიამის ხელში ხანჯალი გაიელვებს, მყის გულში ჩასცებს ლაზარევს) ისევე, როგორც მე ჩაგკარი შენ.

ლაზარევი (მარჯვენაში ხელს წავლებს, ცდილობს ხანჯალი წართვას) რას...რას...რა...
მარიამი (მარიამი ხანჯალს გულში დაუტრიალებს) აი, ასე, ასე დაუტრიალა!

ლაზარევი რრრ...ქართველ... (მიწას დაეხეთქება).

მარიამი (ერთხანს უხმოდ დასცექრის იატაკზე გართხმულ ლაზარევს). რატომ...რატომ არ შეისმინე... (ნელ-ნელა გაუცლება გვამს) ვინ ხართ მანდ! (ვიღაც შეეხმიანება. გადის. კულისებიდან მოგვესმის ხმადაბლა ნათქვამი) თუშეთისაკენ, ჩქარა, მთებში...

დაბნელება

ნაღვლიან სიმღერას ეტლის ხმაური მოსდევს-- ეტლის ჩქარი სვლა უცებ
შეწყდება. შემოდის მუხრან-ბატონი --
ძალაწართმეული, დაბერებული. უილაჯოდ მიმოიხედავს.

მუხრან-ბატონი. სადა ვართ, პორუჩიკო!

პორუჩიკი იქით რუსეთი იყო, აქეთ -- საქართველო. დღეს იქითაც რუსეთია და აქეთაც.

მუხრან-ბატონი (ხანგრძლივი დუმილის შემდეგ). მაშ, საქართველო აქ მთავრდება?

პორუჩიკი. მდინარესთან. დიდხანს ვერ შევტერდებით, სარდალო, დაღამებამდე მდინარე უნდა გადავიაროთ... იქ სხვა ოფიცერს გადაგცემთ. (მოისმის ეტლის ჩაქროლების შემზარავი ხმა.) დავით ბაგრატიონის ეტლმა ჩაიქროლა. ნურც ჩვენ შევყოვნდებით!

მუხრან-ბატონი. იყუჩე, პორუჩიკო... არაფერს ვაპირებ, შეგიძლია, მუხლი გამართო.

პორუჩიკი (ღიმილით). ან რა უნდა დააპირო - სად გაიქცევი, იქითაც რუსეთია და აქეთაც, ჩვენი ქვეყანა უსაზღვრო ხდება! (ეტლი ჩაიქროლებს.) ეს კი ორბელიანის ეტლია.

მუხრან-ბატონი. ჰო, ორბელიანიც... გაიარ-გამოიარე... (ეტლი ჩაიქროლებს.)

პორუჩიკი. ეს, ვგონებ, დარეჯან დედოფლის ეტლი იყო. ყველა რუსეთში იცხოვრებს... (გადის).

მუხრან-ბატონი (გზისკენ იცქირება, რომელიღაც ეტლს თვალს აყოლებს). მე კი არსად

35.

წავალ, მხოლოდ ჩემს წინაპრებთან... მივალ, რათა ჩემს ცოდვებზე ველაპარაკო... ჩემს წინგაუხედაობაზე... ღმერთმაც იცის, მიყვარდი, მაგრამ ეგრე რომ გამოვიდა?

ეტლი ჩაიქროლებს.

ნუ გარბიხართ, ნუ მიდიხართ, აქ დაიმარხეთ, აქ ჩაყარეთ წინდაუხედავთა ძვლები... (გაჩუმდება. გულდაწყვეტილი.) გამოდის, მე თქვენზე ბედნიერი ვარ... ჭკვიანიც.

ხანჯალს გულში ჩაიცემს.

შემინდეთ, წინაპარნო, მიღეთ ჩემი ცოდვილი ძვლები. (ჩაიგეცება, მიწას მუშტში მოიქცევს.) რა კარგია, რა მშვენიერია ეს წამი...

ეტლი ჩაიქროლებს.

ყველას გაჯობეთ, თქვენ მიღიხართ, მე აქ ვრჩები... ვრჩები... ჩემს მიწაში... ჩემს მიწა... ჩემი ქვეყ...

მიწა მუშტიდან უცვივა.

პორუჩიკი (შემოდის). ვაგვიანებთ, თავადო... დავიძრათ... (მუხრან-ბატონს მიწაზე შენიშნავს.) თავადო, თავადო! (მუხრან-ბატონის ნეშტთან დაიხრება.) გა-სა-გე-ბი-ა... არადა, არც კი იცის, რა სამსახური გაუწია სამშობლოს... რა უცნაური ხალხია: ან სახეგაბრწყინებული ცაში უნდა ფრინავდნენ, ან კიდევ აი, ასე...

მოისმის ქართველი კაცის შეკივლება,
მერე ხმადაბალი მოთქმა, თუ გოდება.
ფარდა.